88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №5-6 {7035} 15 მარტი 2021 წელი ● www. Terjola. gov. ge

მხოლოდ დიდი ეროვნული შერიგება გადაგვარჩენს!

ვითარება, რაც ქვეყანაში 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიქმნა, ნამდვილად არაა ჩვეულებრივი...

კოვიდური პანდემიის გამო ჩაკეტილ, ამ ბოლო ათწლეულებში მუდამ შეჭირვებულ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ახალი საფიქრალ-სადარდებელი გაუჩნდა...

სულ უფრო მწვავე ფაზაში შედის ოპოზიციური პარტიების მიერ არჩევნების შედეგების გაყალბებულად შეფასების გამო დაწყებული დაპირისპირება.

ოპოზიცია მმართველი პარტიისაგან პოლიტიკური ნიშნით დევნის შეწყვეტას და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის პირობებში, რასაც მმართველი პარტია არ თანხმდება და შესაბამის არგუმენტებს ასახელებს...

ბოლო დღეებში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა ოპოზიციური პარტიის—ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიასათვის სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდებამ, რასაც საპროტესტო აქციების ახალი ტალღა და მწვავე საერთაშორისო შეფასებები მოჰყვა... პროცესში აქტიურად ჩაერთო ევროპული საბჭო, რომლის პრეზიდენტი **შარლ მიშელი მარტის პირველ რიცხვებში ესტუმრა საქართველოს.**

სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა...

☞2

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცია!

გილოცავთ, ჯანმრთელობა ჰგქონდეთ. კვლავაც აქტიურად გეღვაწოთ, ერი გემრავლებინოთ, ქვეყნად მშვიდობამ, სიკეთემ, სილამაზემ რომ დაივანოს.

ქართული ხალხური თქმაა „ქალი სიცოცხლის დედაბოძიაო“. უფრო სრულქმნილად ვერ გამოხატავთ! ეს სიბრძნე ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა. სწორედ მითოლოგიური ხანიდან დღემდე იქმნებოდა და დღესაც სიცოცხლისა და ცხოვრების აზრს ასაზრდოებს ქალის ფენომენი...

გილოცავთ,
გილოცავთ,
გილოცავთ!

☞6,7,8

დასრულდა ჩხარის №2 საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა!

☞4

მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა...

☞5

საბავშვო ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესი განახლდა!

☞4

მეგობრობის და თანამშრომლობის შეთავაზება მიღებულია

☞3

თანადგომა...

☞4

მხოლოდ დიდი ეროვნული შერიგება გადაგვარჩენს!

1☞

ჩვენს ქვეყანას, სადაც კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა, პანდემიური შეზღუდვების შერბილების პირობებში, დიდი ალბათობით, შეიძლება კოვიდის მესამე ტალღაც მოადგეს, რაც შექმნილ მდგომარეობას უკიდურესობამდე დაამძიმებს...

როგორც საქართველოსა და მისი ხალხის სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები აღნიშნავენ, გამოსავალი დიალოგშია, სადაც მმართველმა გუნდმა და ოპოზიციამ აუცილებლად უნდა მიაღწიოს შეთანხმებას!

ქვეყანას სასიცოცხლოდ სჭირდება წინსვლა, განვითარება, ეკონომიკური აღმავლობა, მოზღვავებული სოციალური პრობლემების უთუოდ გადაჭრა, სახელმწიფოებრიობის გაძლიერება, რაც მხოლოდ დაპირისპირებული ძალების გაერთიანებით, ჩვენს დიდ ეროვნულ შერიგებას შეუძლია!

ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში ჩვენი წინაპრები ყოველთვის ახერხებდნენ გვერდზე გადაედოთ პირადი ამბიციები და გაერთიანებულიყვნენ საქვეყნო პრობლემების გადასაწყვეტად, ერთად დამდგარიყვნენ და ერთად მიეღწიათ გამარჯვებისათვის!

ეს, ჯერ კიდევ ახლაც შეიძლება!!!

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მთავარი გზავნილები საქართველოს

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა გამართა შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, პრემიერ-მინისტრთან, ოპოზიციის წარმომადგენლებთან, იმყოფებოდა რუსულ საოკუპაციო ხაზთან სოფ. ხურვალეთში. ვიზიტის დასასრულს მან შემაჯამებელი შეხვედრა მოაწყო პრემიერ-მინისტრისა და ოპოზიციის მონაწილეობით, მხარეები დიალოგისათვის ექვსპუნქტიან დღის წესრიგზე შეითანხმა და 16 მარტისათვის ევროპარლამენტის სხდომაზე მიიწვია პრემიერ-მინისტრი, სადაც საქართველოზე გაიმართება დებატები.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა გააკეთა საქართველოსათვის რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი განცხადება, რომლებსაც აქვე გთავაზობთ.

ევროკავშირს სურს დარჩეს საქართველოს გვერდით

„ჩემი დღევანდელი შეხვედრა აქ ისევე, როგორც გუშინდელი შეხვედრა მოლდოვაში და ხვალინდელი უკრაინაში, არის პარტნიორობის მესიჯი. ევროკავშირს სურს დარჩეს საქართველოს გვერდით, დაიცვას თქვენი სუვერენობა, თქვენი ტერიტორიული მთლიანობა. მინდა, რომ აქ ყოფნით ვისარგებლო და კიდევ ერთხელ გამოგიცხადოთ ევროკავშირის მხრიდან მეგობრობის მესიჯი“, - განაცხადა შარლ მიშელმა.

საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი „ევროკავშირს აშფოთებს“

„როგორც თქვენ იცით, ჩემი ვიზიტი არის პოლიტიკური კრიზისის ფონზე. ეს რა თქმა უნდა, ძალიან აშფოთებს ევროკავშირსაც და მეც პირადად. ევროკავშირი მოუწოდებს ყველა მხარეს, რომ ინტენსიურად იმუშაონ იმაზე, რომ მოხდეს სიტუაციის განეიტრალება.

ვიცი, რომ პოლიტიკური დებატები საჭიროებს აუცილებლად „ლიდერშიპს“, საჭიროებს ანგაჟირებული ყველა მხარის ჩართულობას. დარწმუნებული ვარ, საქართველოს აქვს ყველა საშუალება იმისთვის, რომ ეს გამოწვევა მიიღოს, კონსოლიდირება მოახდინოს დემოკრატიული ბაზების არა მხოლოდ იმ კავშირში, რომელიც ევროპასთან აქვს, არამედ თავისი დემოკრატიული ბაზების კონსოლიდაციაც შედგეს, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებები ქვეყანაში იმისთვის, რომ საზოგადოების სურვილები განხორციელდეს, პოლიტიკური სტაბილურობა შეიქმნას, რომელიც ღია დემოკრატიით იქნება გამყარებული“, - ამბობს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

„მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო ევროკავშირის მყარი დახმარება და მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიების მთლიანობასთან დაკავშირებით. მე მქონდა საშუალება მივსულიყავი ადმინისტრაციული დემარკაციის ხაზამდე, „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიასთან, რაც კიდევ ერთი შეხსენებაა საქართველოსთვის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ერთიანობა, ძირითად ღირებულებებთან დაკავშირებით გაერთიანება. ამაში შეგიძლიათ ევროკავშირის ჩართულობის იმედი გქონდეთ“, - აცხადებს მიშელი.

„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ვაქცინაზე წვდომა ჰქონდეს“

„ევროკავშირი არის მთავარი დონატორი „კოვაქს პროგრამის“ და ამის წყალობით, იმედი მაქვს, რომ საქართველოში მალე იქნება ვაქცინების დისტრიბუცია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ვაქცინის დოზებზე წვდომა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ერთად“, - განაცხადა შარლ მიშელმა.

P.S. იმედი დავიტოვოთ, რომ მოვლენები ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთოდ განვითარდება. ოპოზიცია და მმართველი გუნდი ორმხრივი კონსესუსით აუცილებლად მიაღწევენ შეთანხმებას საქართველოს წინსვლისა და განვითარებისათვის...

დ. შალიკაშვილი

რაც შეძლეს ქართველებმა მე-5 საუკუნეში და ვერ ახერხებენ 21-ში...

ვიდრე ძირითად სათქმელს ვიტყოდეთ, მოდი ვნახოთ რა მდგომარეობაშია დასავლეთ საქართველო, იმდროინდელი ლაზეთი მე-5 საუკუნის შუა წლებში. ამ დროისათვის ქვეყანა ორ უზარმაზარ, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული სახელმწიფოებს—ბიზანტიასა და ირანს შორის იწიწკნება. როგორც ბიზანტიის იმპერიას, ისე ირანს ერთმანეთში უაღრესად გამწვავებული ურთიერთობის გამო სურს ლაზეთი მოკავშირედ და „მეგობრად“ იყოლიოს, თუმცა გულში ერთსაც და მეორესაც დაკარგული მხარეები აქვთ: ბიზანტიას ლაზეთის ყვლეფა და მასზე გაბატონება სურს, როგორც ყველა დამპყრობელს, ირანს უარესი—დასავლეთ საქართველოში სრული გაბატონება, ქართველების ამ ადგილებიდან აყრა და ირანში გადასახლება, დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე კი სპარსელების ჩამოსახლება.

ამ დროისათვის ლაზეთის სამეფო ტახტზე ზის მეფე გუბაზი, შემკული ყველა სიკეთითა ამ ქვეყნისათა.

ქართველებს რა თქმა უნდა ერთმორწმუნე ბიზანტიელებთან ერჩიათ ყოფნა და იყვნენ კიდეც. მაგრამ მეფე გუბაზს მეტად რთული დიპლომატიის წარმართვა უხდება ირანსა და ბიზანტიასთან. სამწუხაროდ, ბიზანტიელმა მოხელეებმა, რომლებიც დასავლეთ საქართველოში მოავლინა კეისარმა, აშკარად და მოურიდებლად დაიწყეს პატარა მეგობარი სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა, ისინი ფეხქვეშ თელავენ მის სუვერენულ უფლებებს: ბოლოს ისე გათავხედდნენ, რომ მეფეს სახელიღა შერჩა, თორემ მართვის ყველა სადავე ბიზანტიელ მმართველებს ჰქონდათ ხელში... „ასეთი უსინდისო საქციელი და ხალხის ყვლეფა უმაგალითო იყო. მეფე გუბაზი და მისი ქვეშევრდომები მოთმინებიდან გამოვიდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი) და... მოაწყვეს კიდევაც ჯანყი.

ბიზანტიელების განსადევნად დახმარება ირანს სთხოვეს. სპარსელები უკეთესს რას ინატრებდნენ,—მეგობრული დახმარება აღუთქვეს ლაზეთს და დაიძრნენ საქართველოსაკენ დიდი ჯარითა და ვერაგი ზრახვებით. გაიარეს იბერია (აღმოსავლეთ საქართველო) და დასავლეთ საქართველოში შევიდნენ. აქ გუბაზი შემოეგება სპარს „მეგობარს“. რა იცოდა მეფემ, რომ „მეგობარი“ უკან ასე იოლად წასვლას აღარ აპირებდა. ირანმა საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი დასავლეთ საქართველოში და ლაზებისათვის სულ მალე გახადა აშკარა, რომ აღმოსავლელი მეზობლის „მეგობრობა“ კიდევ უფრო დიდი ბოროტების წყარო იყო. მალე გუბაზმა შაჰის ვერაგული გეგმა გაიგო: სპარსელებს გადაეწყვიტათ ლაზეთის მეფის მოკვლა, ქართველების აყრა და ირანში გადასახლება, ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილმა მეფემ ახლა ელჩები ბიზანტიაში აფრინა კეისართან,—შენთან ვიქნები, ოღონდ მომეხმარე და სპარსელები გამაყრევინეო. კეისარსაც ეს უნდოდა—იოლად გაიჩინა მოკავშირე განსაცდელის დროს. ხელადვე გამოუგზავნა მაშველი ჯარი და დაიწყო ლაზების ბრძოლა ირანის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ბიზანტიის ჯარის სარდლები ძალიან უგულოდ და ლაჩრულად იქცეოდნენ, რომ არა გუბაზ მეფის დიდი ორგანიზატორული და სტრატეგიული ნიჭი, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა საქმე. საბოლოოდ, გააფთრებული ბრძოლები სპარსელებთან ბიზანტია-ლაზეთის შეერთებული მხედრობის გამარჯვებით დასრულდა.

გამარჯვების შემდეგ ბიზანტიელმა სარდლებმა სულ აიშვეს, ხომ დამეხმარეთო, ქედმაღლურად უყურებდნენ გუბაზ მეფეს, გაყოყოჩებულებმა სიფრთხილე დაკარგეს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ირანელებმა ქუთაისის მახლობლად, ტელეფისის ციხესთან ერთ-ერთი ბრძოლა მოუგეს ქართველებს. გუბაზმა მაშინვე კეისარს აცნობა ეს ამბავი და ალბათ სარდლების შეცვლა სთხოვა, კეისარმა ერთი სარდალი სიკვდილით დასაჯა, დანარჩენები ორის საქმის გარკვევა ვერ მოასწრო, რადგან მათ დაასწრეს და მეფე გუბაზი ვერაგულად მოკლეს. მეფე მოგვიკლესო და მთელი ლაზიკა ფეხზე დადგა. სხვა ვითარებაში ბიზანტიის კეისარს შეიძლება არაფრად ჩაეგდო ეს ამბავი, მაგრამ ახლა, როცა „მოკავშირე“ ქვეყანაში თავისი ისტორიული მტრის—ირანის კარი იყო დაბანაკებული, როცა ლაზიკის ხალხი ფეხზე დადგა და მაშველების დასჯას მოითხოვდა, ჭკუა იხმარა და მეფე გუბაზის მკვლელობის მომწყობი სარდლები სიკვდილით დაასჯევინა.

გუბაზ მეფემ, რომელიც 554 წელს მოკლეს, დასავლეთ საქართველო დიდ განსაცდელს გადაარჩინა. მისი დიდი სახელმწიფოებრივი ღვაწლით და პირადი მომხიბლავი თვისებებით უნდა აიხსნასო, წერს გამოჩენილი მწერალი ვახტანგ ჭელიძე. ქართლის ცხოვრების ქრონიკებში ის, რომ ხალხი ერთიანად აღსდგა ფეხზე მისი მკვლელობის გამო, ხოლო მეფის სახელის უკვდავსაყოფად, მეტად პოეტური და ორიგინალური რამ მოიგონეს—მისი სახელი მთის პატარა მდინარეს შეარქვეს და გუბაზოული უწოდესო.

ახლა კი იმის შესახებ თუ რა მოიმოქმედეს ქართველებმა იმ საბედისწერო პერიოდში: გუბაზ მეფე რომ მოკლეს და ხალხი საშინელმა გაგულისებამ მოიცვა, ქვეყანაში აქამდე ჩუმად და პასიურად მოქმედი ორი პოლიტიკური ჯგუფი (კიდევ კარგი დღევანდელივით ათეულობით პარტია არ იყო) ერთბაშად გააქტიურდა და ამოქმედდა, მათი მისწრაფებანი უფრო გამოიკვეთა. ერთნი ირანის ორიენტაციისანი იყვნენ და მასთან კავშირის განმტკიცებას მოითხოვდნენ, მეორენი ბიზანტიასთან კავშირის განმტკიცებას უჭერდნენ მხარს. ბიზანტიელი სარდლების მიერ გუბაზის ვერაგული მოკვლის შემდეგ ირანის მომხრე ჯგუფს მეტი სალაპარაკო მიეცა და უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ეტყობა ბიზანტიის ორიენტაციის მომხრე ჯგუფიც ძლიერი იყო. ქვეყნის საბედნიეროდ ერთმანეთში ქიშპსა და ძალმომრეობას როდი მოჰყვნენ. იმ რთულსა და დაბნეულ ვითარებაში „კავკასიის ერთ ხეობაში“, როგორც უცხოელი ისტორიკოსები გადმოგვცემენ. შეიკრიბა ქვეყნის რჩეული ხალხი, რათა სახელმწიფოს მომავალი პილიტიკური კურსი აერჩიათ და დაედგინათო. შეკრებაზე გამოვიდა, ქართული აზროვნების ისტორიაში, სწორედ ამ კრებაზე წარმოთქმული სიტყვების წყალობით, ცნობილი ორი დიდი მოაზროვნე ქართველი მოღვაწე აეტი და ფარტაზი. პირველი ირანის ორიენტაციას უჭერდა მხარს, მეორე—ბიზანტიისას. მკვლევარები დღემდე აღფრთოვანებაში მოჰყავს ამ ორი ორატორის მსჯელობის ლოგიკურობასა და იშვიათ ორატორულ ხელოვნებას. თვითონ ის ფაქტიც, რომ ამ სიტყვების სტენოგრაფია იქვე სწარმოებდა, მერე ბერძნულად ითარგმნა და ჩვენ სწორედ ბერძნული წყაროებით ვიცნობთ ბევრის მეტყველია. აქ საინტერესო ის არის, და მკითხველის ყურადღებაც იმიტომ შევაჩერეთ, რომ იმ უკიდურესად დაძაბული ვითარების მიუხედავად, იმ არეულობისა და გაურკვევლობაში, უმეფობის დროს (გუბაზი მოკლულია) როცა გააქტიურებული და გაალმასებული ორი პოლიტიკური ჯგუფი ჰეგემონობისათვის დაუნდობლად ებრძოდა ერთმანეთს, შესაძლებელი გახდა „კავკასიის რომელიღაც ხეობაში“, საოცარი ორგანიზებულობითა და დისციპლინით, ქვეყნის მოთავენი შეკრებილიყვნენ და მშვიდობიანად გადაეწყვიტათ პოლიტიკური ჰეგემონობის საკითხი. ლოგიკურ აზრს გაემარჯვა და არა იარაღს!

როგორც მკითხველებისათვის ცნობილია ფარტაზმა უფრო დამაჯერებელი არგუმენტები წარმოადგინა და საბოლოოდ კრება შეჯერდა იმაზე, რომ ქართველებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბიზანტიასთან კავშირურთიერთობა იყო და არა ირანთან.

ასეთი რამ, როგორც ხაზგასმულია ქართლის ცხოვრების ქრონიკებში, ისტორიაში ხშირად როდი ხდება. ასეთი შინაგანი დაძაბულობისა და არეულობის დროს. როცა გარეშე ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო ჯგუფებიც დიდ დაწოლას ახდენენ ხოლმე, უფრო მოსალოდნელი იყო სამოქალაქო ომი.

და მართლაც რა დიდი ჰუმანური და დემოკრატიული სახელმწიფო ყოფილა, რა მაღალი კულტურის დონე და სახელმწიფოებრივი დისციპლინა ჰქონიათ, რომ იმ ძველ საუკუნეში, იმ ბნელი ძალმომრეობის გარემოცვაში, ჩვენი წინაპრები ახერხებდნენ ადამიანის აზრს ეზეიმა—ასკვნის მეისტორიე.

კარგია, რომ საბედისწერო პერიოდში, 15 საუკუნის წინათ, ასე გონივრულად მოიქცნენ ჩვენი წინაპრები. ცუდი კი ის, რომ ამდენი ხნის გავლის შემდეგ პარტიებად დაყოფილნი, ვერ ვახერხებთ საერთო ენის გამონახვას, კონსესუსის მიღწევას და საქვეყნო მიზნებისათვის გაერთიანებას...

ი. ერაძე

მეგობრობის და თანამშრომლობის შეთავაზება მიღებულია

თოვდა იმ დღეს თერჯოლაში, უამრავი ფიფქი ეშვებოდა ციდან და თეთრ სამოსელში ხვევდა ირგვლივ ყოველივეს. თოვდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ახალგაზრდებისათვის თბილი სახლები დაეტოვებინათ და ცენტრიდან მოცილებული სოფლებიდანაც კი აქეთ აეღოთ გეზი, სადაც მათ მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები ელოდებოდნენ...ახალგაზრდებთან შეხვედრა კულტურის სახლის დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერის ბატონ ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით, პანდემიის რეგულაციების ნუსხათა სრული გათვალისწინებით გაიმართა და მას ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად მერის მოადგილეები: მანუჩარ რობაქიძე, მირზა ქოჩიაშვილი და მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ.

„ჩვენ ძალიან დიდ პოტენციალს ვხედავთ ახალგაზრდებში, რომელიც ჩვენი რაიონისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა

იქნას გამოყენებული. თერჯოლაში ძალიან ბევრი ნიჭიერი და წარმატებული ადამიანია, რაც ძალიან მახარებს და მჯერა, რომ ძლიერ ახალგაზრდობას აქვს უნარი იქცნენ აზრთა ლიდერებად, საკუთარ თანატოლებში ცოდნის იდეების გამავრცელებლად და ამავე დროს უზრუნველყონ ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირება.

ჩვენი შეხვედრები იქნება მიზანზე ორიენტირებული, იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა მოახდინონ ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვა აუცილებელია მათში სხვადასხვა კომპეტენციის განვითარებას შევუწყოთ ხელი“—აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა. მანამდე კი, მან თავისი მოკლე ბიოგრაფია გააცნო შეკრებილებს: აღნიშნა, რომ დაიბადა თერჯოლაში ინტელიგენტთა ოჯახში, სწავლობდა ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში. ჰქონდა ძალიან საინტერესო მოსწავლეობის წლები. აქტიურად იყო ჩართული სასკოლო თუ რაიონულ ღონისძიებებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აქტივობებში. გაიხსენა სტუდენტობის წლებიც სახელმწიფო კონსერვატორიაში. თბილისში მისი მოღვაწეობა დასაწყისში ძირითადად კულტურის სფეროს უკავშირდებოდა. შემდეგ ტექნიკურ საქმიანობას მიჰყო ხელი, შესყიდვები, მენეჯმენტი... და აი, ამჯერად რაიონში დაბრუნება და მერის პოსტზე მოღვაწეობამ მოუწია.

ახლა, როცა ამ თანამდებობაზე თითქმის ერთი წელია მუშაობს, მიაჩნია, რომ ახალგაზრდობა და ხელისუფლება თითქოს დაცილებულები არიან ერთმანეთთან, რომ ამ ხნის მანძილზე არც ერთი ახალგაზრდა არ მისულა მასთან არც თხოვნით, არც წინადადებით. არადა ახალგაზრდობის აქტიურობაზე ბევრად არის დამოკიდებული უკეთესობისაკენ შეცვალონ როგორც პირადად მათი, ასევე საერთოდ ცხოვრება. „თითქოს იმავე წარსულში ვართ, როცა ჩემი ბავშვობისას, არავითარი შემხებლობა არ გვქონდა ხელისუფლებასთან“—აღნიშნა მან...

იდეა, რომელიც ლაშა გოგიაშვილმა ახალგაზრდობასთან შეხვედრისას გააჟღერა, სწორედ ისაა, ასე რომ ესაჭიროება ყველას და არა მხოლოდ ახალგაზრდებს: მეტი კონტაქტები, მეტი ურთიერთობები, მეტი სითბო და ყურადღება, მეტი თანადგომა და პრობლემებზე ზრუნვა, მეტი სიყვარული ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ადამიანებს შორის... დიახ, სიყვარული, რადგან სწორედ სიყვარულია ის ძალა, როგორც მწერალი იტყოდა, დედამიწასაც რომ ატრიალებს.

მერია დაინტერესდება ახალგაზრდებით, მათი საჭიროებებით, მათ მიერ მიწოდებული იდეებით და მათთან ურთიერთობის სამომავლო პროგრამაც ამის მიხედვით ჩამოყალიბდება. შეხვედრები ახალგაზრდებთან რიგ შემთხვევაში საჯარო მოხელეების ადგილებზე მისვლით გაიმართება, რიგ შემთხვევაში კი მუნიციპალიტეტის მერიაში მოხდება, სადაც ისინი თავიანთი იდეებითა და წინადადებებით მივლენ და ერთად იმსჯელებენ მისი გადაწყვეტის გზებზე...

„ვიმეგობროთ, ვიმსჯელოთ, ერთად გავიდეთ გნებავთ ბუნებაშიც, ტელეფონები გავცვალოთ, თამამად ვთქვათ სათქმელი და ისე გადავწყვიტოთ, როგორც თქვენ და სრულიად თერჯოლის წინსვლას შეუწყობს ხელს“—მიმართა ლაშა გოგიაშვილმა ახალგაზრდებს.

ახალგაზრდებთან მუდმივი კონტაქტებისა და თანამშრომ-

ლობის საჭიროებაზე და მათ მიერ მოწოდებული იდეების მნიშვნელობაზე ისაუბრეს: ნინო ჯანელიძემ—მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გურამ თურქაძემ—მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, რუსუდან კოვზირიძემ—მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა.

შეკრებილი ახალგაზრდები, რომელთა შორის უმრავლესობა სტუდენტები იყვნენ, მიესალმება ასეთ შეხვედრებს, უფრო მეტიც, ისინი თავიანთ მოვალეობადაც მიიჩნევენ უფროსებთან ერთად იმსჯელონ და შესაძლებლობების ფარგლებში იზრუნონ თავიანთი სოფლებისა თუ ქალაქის განვითარებისათვის. იმ დღესაც არ მოსულან ისინი წინადადებების გარეშე. აი, მათი იდეებიც: „სტუდენტს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ

მიღებულ ცოდნას გამოიყენებს, ანუ თავისთავის რეალიზებას მოახდენს, მე მაგალითად ამის განცდა არ მაქვს“—თინა კუპატაძე (თერჯოლა), „მეტი შეხვედრები, ინფორმირებულობა, მეტი ახალგაზრდული ღონისძიებები, საქველმოქმედო საღამოები, პრობლემები ყველამ ერთად უნდა გადავწყვიტოთ“—სოფო პერანიძე (ღვანკითი), „მინდა თერჯოლაში აღდგეს კინო-თეატრი, რომ ჩვენმა შვილებმაც და უფროსებმაც ნახონ სპექტაკლები, კარგი იქნება აგრეთვე, რომ ალისუბნის ძველ შენობას ჩაუტარდეს რესტავრაცია, რომ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმაც თავი კომფორტულად იგრძნონ“—მარიკა სირბილაძე (ალისუბანი), „თუზელი ახალგაზრდები მიესალმებიან მათი საჭიროებისათვის მცირე პროექტის ფარგლებში სურვილისამებრ გააკეთონ ობიექტი, რომელიც ძალიან გამოადგებათ“—ზურა აბესაძე (თუზი); „სოფელში არ გვაქვს დარბაზი, სადაც შეიძლება შეკრება და რაიმე სახის ღონისძიებების ჩატარება“—თამაზ გვენეტაძე (ბარდუბანი); „ქ. თერჯოლაში სახლების დანომვრა-დამისამართებაა აუცილებელი“—გიორგი მემანიშვილი; „სასურველია ჩვენს სოფელში გაკეთდეს გარე განათება“—თამარ აბჟანდაძე (ახალთერჯოლა); „ჩვენს სოფელში არც სიმღერის და არც ცეკვის სტუდია არ გვაქვს, არც გვემღერება, იმიტომ, რომ არ გვაქვს კეთილმოწყობილი გზები, თუმცა შემოთავაზებულ მეგობრობას მივესალმებით, მობრძანდით ჩვენს სოფელში, მეგობრობაც შეგვიძლია და მასპინძლობაც“—გიორგი უკლება (კვახჭირი); „წლებია სოფლის ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით არ განახლებულა, ამის დიდი სურვილი გვაქვს“—ლიკა რობაქიძე (გოგნი-ვარდიგორა); „სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას გარემოს დასუფთავებისა და გამწვანების აქციებში“—სალომე ჭანტურიძე (თერჯოლა); „რაიონს კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, კარგი იქნება თუ ახალგაზრდობის მეტი ჩართულობა იქნება ტურისტულ თუ სპორტულ ღონისძიებებში“—თეონა კოვზირიძე (ნახშირღელე).

ახალგაზრდებმა ხაზი გაუსვეს აგრეთვე სამუშაო ადგილების, ინფრასტრუქტურის განვითარების, აგრეთვე ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და ლიტერატურული საღამოების ჩატარების საკითხებს.

მაშ ასე: „ყინული დაძრულია“, „ხელისუფლების კარები ღიაა“, ამიერიდან ახალგაზრდებს აქვთ საშუალება ჩაერთონ მერიის თუ საკრებულოს ყოველდღიურობაში და ყველა იმ პროექტის შე-

სახებ მიიღონ ინფორმაცია, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე წელს, თუ სამომავლოდ.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ბატონ ლაშას: „თანამდებობა არ არის ფუფუნება, თანამდებობა არის საშუალება კარგი საქმეები ვაკეთოთ“; „კარგი საქმეებია“ ნამდვილად, როცა ახალგაზრდებისათვის ხელშეწყობას გულისხმობ, მათთვის სათანადო გარემოს შექმნას, როცა უკეთ შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების სრულ რეალიზებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას... ხოლო მათი მხრიდან აქტიურობა, ბრძოლა, შრომა და გარჯა უთუოდ გამოიღებს შედეგს.

სხვა მრავალი კეთილი რჩევა-დარიგებაც მიიღეს „იმ ძალიან კარგ დღეს“, როგორც აღნიშნეს ახალგაზრდებმა, რაიონის პირველი პირისაგან, რომლის გათვალისწინებაც გარკვეულწილად გაუადვილებთ საკუთარი ადგილის პოვნას ცხოვრებაში.

მეგობრობის შეთავაზება მიღებულია, დანარჩენს მომავალი გამოაჩენს.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ იმ დღეს ახალგაზრდები მეტი თავდაჯერებულები, ამაღლებულები და იმედიანები ტოვებდნენ შეხვედრის ადგილს.

მზია ცქიფურიშვილი

P.S. იმდღევანდელმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ აშკარად ნიჭიერი თაობა მოდის, რომ საქართველოს მომავალი საიმედო ხელშია, ოღონდ დროულად მიეცეს მათ ნიჭს ფართო სარბიელი და გასაქანი.

თანადგომა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებია კარგად მუშაობს მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები. მათგან ამჯერად გამოვყოფთ „სახლდაზიანების“ პროგრამას, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტში უკვე აშენდა სამი სახლი.

მიმდინარე წლის თებერვალში, სოფელ ჩხარში, ახალმოსახლეობა იზეიმა ფანჩულიძეების ოჯახმა, სადაც ბებია და შვილიშვილი ძლიერდაზიანებულ ხის სახლში მარტო ცხოვრობდნენ. სახლი რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა.

ასევე, ახალაშენებულ სახლში დაიდეო ბინა სოფელ ქვედა სიმონეთში მცხოვრებმა არაბიძეების სოციალურად დაუცველმა ოჯახმა.

ახალმოსახლეებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს იმერეთის გუბერნატორს ზვიად შალამბერიძეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, ლაშა გოგიაშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს, ნინო ჯანელიძეს მძიმე სოციალურ პირობებში თანადგომის, სახლის გადაცემის პროცესში მონაწილეობისა და ახალმოსახლეობის მილოცვისათვის.

„ დღეს ჩვენ გადავეცით ორ ოჯახს ახალი აშენებული სახლი. თერჯოლაში პროექტი წარმატებით გრძელდება. მიმდინარე და მომავალ წელსაც კიდევ ახალი სახლები დაემატება თერჯოლის მუნიციპალიტეტს და გადაეცემა იმ მოსახლეობას, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება. პროგრამის ფარგლებში, სახლების ასაშენებლად თანხა სრულად გამოიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მსგავსი პროგრამები იმერეთში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში თანადაფინანსების პრინციპით ხორციელდება. ამ მიმართულებით სოციალურ პროგრამას რეგიონის მასშტაბით რა თქმა უნდა მომავალშიც გავაგრძელებთ - აღნიშნა ზვიად შალამბერიძემ.

აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს კიდევ 5 ასეთი ახალი სახლი აშენდება, რისთვისაც 170 000 ათასი ლარია გამოყოფილი.

საბავშვო ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესი განახლდა!

ა(ა)იპ თერჯოლის მუნიციპალური ცენტრის საბავშვო ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მიმდინარე წლის 1 მარტიდან განახლდა. 26 საბავშვო ბაგა-ბაღში სადაც ჩარიცხულია 1140 აღსაზრდელი და დასაქმებულია 471 თანამშრომელი, სასწავლო პროცესი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეგულაციების მიხედვით წარიმართება. საბავშვო ბაგა-ბაღებში 2 მარტიდან 9 მარტის ჩათვლით ჯანდაცვის

სამსახურის მიერ განხორციელდება დასაქმებული ყველა თანამშრომლის ტესტირება, რომელიც ყოველ ორ კვირაში იქნება განახლებადი.

საბავშვო ბაგა-ბაღები რეგულაციების შესაბამისად აღჭურვილნი არიან სანიტარულ -ჰიგიენური საშუალებებით, სადეზინფექციო ხსნარებით. მთელი დღის განმავლობაში ხდება შენობის შიდა სივრცეების, სველი წესით დამუშავება. შენობის შესასვლელებში განთავსებულია ხელის ანტი-

სეპტიკური საშუალებები და დეზობარიერი, აკრძალულია უცხო პირთა შესვლა ბაღის შენობაში.მკაცრად იქნება დაცული ჭურჭლის, თეთრეულის, სათამაშოების, ინვენტარის რეცხვა-დასუფთავების ჰიგიენური რეჟიმი. საბავშვო ბაგა-ბაღები აღჭურვილია სამაცივრე მოწყობილობებით და სარეცხი მანქანებით, რეაბილიტირებულია კვებითი ბლოკები, სასაწყობო ფართები და ყველა ჯგუფის სველი წერტილები.

სასწავლო პროცესში აქტივობები აღმზრდელ -პედაგოგების მიერ გაწერილია ისე, რომ ბავშვებმა დღის უმეტესი ნაწილი კარგი ამინდის შემთხვევაში საბავშვო ბაღის ეზოში გაატარონ, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი, ხალისიანი, მოტივირებული გარემოს არსებობას ჩვენს საბავშვო ბაგა-ბაღებში.

მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად ბაღებში აღსაზრდელების მიღების პროცესს დაესწრო და კოვიდ 19-ის პრევენციის მიზნით არსებული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი შეამოწმა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობს. კორონავირუსის გავრცელებისპრევენციის მიზნით, 2 კვირაში ერთხელ ბაღის თანამშრომლების 20 %-ს სავალდებულო ტესტირება ჩაუტარდებათ. ჩვენი მხრიდან, სასწავლო დაწესებულებებში რეგულაციების შესრულება მკაცრად გაკონტროლდება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, როგორც აღსაზრდელის, ისე პერსონალის ჯანმრთელობა და ბაგა-ბაღების შეუფერხებელი ფუნქციონირება. მინდა მივულოცო პატარებს სასწავლო პროცესის ფიზიკურ გარემოში დაწყება და ჯანმრთელობა ვუსურვო“,—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

დასრულდა ჩხარის №2 საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა!

თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ეს სკოლა 60 ბავშვზეა გათვლილი. სკოლის მშენებლობა სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ დაიწყო. პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა და მისმა ღირებულებამ 1,1 მლნ ლარი შეადგინა.

სულ მალე, ასევე დასრულდება საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მშენებლობა სოფელ საზანოში, რომელიც ასევე 60 ბავშვზეა გათვლილი. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთ მილიონ ლარამდეა.

ორივე სკოლაში სასწავლო პროცესის განახლება შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როცა მათ სრულად აღჭურვავენ შესაბამისი ინვენტარითა და სხვა სასწავლო საშუალებებით.

მუნიციპალიტეტში ამ ორი სკოლის ახალი კორპუსის აშენებით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა თერჯოლის საგანმანათლებლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

გილოცავთ!

მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა...

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021“

როგორც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ იყო დადგენილი—18 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩატარდა მოსახლეობის ფართო წარმომადგენლობითი კრებები, სადაც მათ განიხილეს ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ კონკრეტული სოფლისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ამ სახით კრებების ჩატარების კარგი პრაქტიკაა, რაც ამჯერადაც დადასტურდა. ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ მანუჩარ რობაქიძემ აღნიშნა: „მოსახლეობის აქტივობა კრებებზე იყო საკმაოდ მაღალი, წარმოდგენილი წინადადებების განხილვა კი საქმიანი. სულ ჩატარდა 45 კრება. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ შეკრებები ჩატარდა დადგენილი კოვიდრეგულაციების სრული დაცვით. მოსახლეობა კრებებზე წარდგენილი წინადადებებიდან შეჯერდა და შეთანხმდა საბოლოო ვარიანტებზე, რაც ჩვენ ავსახეთ საბოლოო დოკუმენტში, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის საკრებულომ. შემდგომ ეტაპზე, ანუ უახლოეს პერიოდში ჩვენ გამოვაცხადებთ შესაბამის ტენდერებს და გამარჯვებული შემსრულებლების გამოვლენისა და საჭირო ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ დავიწყებთ შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რისთვისაც ჯამურად უნდა დაიხარჯოს ამ მიზნისათვის გამოყოფილი 690 ათასი ლარი. იმედი გვაქვს, რომ ამ პროცესებში, როგორც მონაწილეობის ისე ზედამხედველობის თვალსაზრისით, როგორც ჩვენი შესაბამისი სამსახურები და გაზეთი „თერჯოლა“ ასევე აქტიურად ჩაერთვება თავად მოსახლეობა და შედეგებიც წარმატებული იქნება“.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

ძევრის ადმინისტრაციული ერთეული

ძევრი—საეკლესიო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

ოქონა—კაკულაშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა—16 000 ლარი

სეფარეთი—სოფლის შიდა საუბნო გზაზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა 10 000 ლარი

ჩხარის ადმინისტრაციული ერთეული

ჩხარი—ოქონის საეკლესიო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

ოქტომბერი—რობაქიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა; ნიქიბიშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

გოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოგნი—ხორხის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

თუზის ადმინისტრაციული ერთეული

თუზი—ქვ. ჭალაში საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა; ბუხრაშვილები—ქაშაკაშვილების საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 20 000 ლარი

კაკაბოური—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა; საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა 10 000 ლარი

თავასა—საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა 12 000 ლარი

ჯგილათი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

ვარდიგორა—სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა 16 000 ლარი

ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული

საზანო—საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა; ხამაშურიძეების უბანში ცხაურის მოწყობა 20 000 ლარი

დელტასუბანი— ჩუბინიძეების უბანში ბოგირის რეაბილიტაცია; საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა; კირკიტაძეების უბანში სასმელი წყლის ჭის მოწყობა; რობაქიძეების უბანში ცხაურის მოწყობა 16 000 ლარი

შიმშილაქედი—გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

ჩიხორი— ცხელიშვილების უბანში სასმელი წყლის ჭის მოწყობა; კუპატაძეები-სახელაშვილების უბანში ცხაურის მოწყობა; საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა 12 000 ლარი

მუჯირეთი—გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

სკანდე—საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა-გაშლა; ეგუტიძეების უბანში წყლის რეზერვუარის შეძენა 16 000 ლარი

ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ქვედა ალისუბანი—ქვ. ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობა; ბოჭორიშვილების უბანში სასმელი წყლის შახტური ჭის მოწყობა 20 000 ლარი

ზედა ალისუბანი—ზედა ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობა; დათო ბეღელაძის სახლთან ცხაურის მოწყობა 16 000 ლარი

ზარნაძეები—წყაროს მოწყობა ზარნაძეების უბანში; ზედა ალისუბანი—ჩხარის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობა 12 000 ლარი

თხილთაწყარო—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა; ქველიძეებისა და აბისინიის უბანში სასმელი წყლის შახტური ჭების მოწყობა 10 000 ლარი

მაჩიტაური—ზედა ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

რუფოთის ადმინისტრაციული ერთეული

რუფოთი—ჭანკვეტაძეებისა და ჩუბინიძეების უბანში გარე განათების 20 000 ლარი

ტელეფა— გურგენიძეების უბანში გარე განათების მოწყობა; ბავშვთა გასართობი სკვერის მოწყობა 16 000 ლარი

ღვანკითის ადმინისტრაციული ერთეული

ღვანკითი—რობაქიძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა; ლევან შეყრილაძის უბანში ბეტონის საფარის მოწყობა; ქარქაშაძეების, კუპატაძეების და კუბლაშვილების უბანში ბოგირების მოწყობა; სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა 20 000 ლარი

ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ბარდუბანი—გარე განათების მოწყობა ავტობანიდან სოფლის ცენტრის მიმართულებით; ჯანელიძეების უბანში ცხაურის მოწყობა 20 000 ლარი

სათემო— სათემო უბანში ბოგირის რეაბილიტაცია; სათემო უბანში ბეტონის საფარის მოწყობა 12 000 ლარი

ეწრის ადმინისტრაციული ერთეული

ეწერი—ბერუაშვილების უბანში სასმელი წყლის შახტური ჭის მოწყობა; საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა; არაბიძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა; პატარიძეების უბანში გარე განათების მოწყობა; სკოლის მიმდებარედ ცხაურის მოწყობა 20 000 ლარი

ახალი უბანი—ტაძართან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა; სულამანიძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა 12 000 ლარი

სიქთარივის ადმინისტრაციული ერთეული

სიქთარვა—აბჟანდაძეების, მემანიშვილების, ცხადაძეების, რობაქიძეებისა და კახიძეების უბნებში გარე განათების მოწყობა 20 000 ლარი

ჩხარი-ეწერი—ფანჩულიძეების უბანში არსებული სტადიონის კეთილმოწყობა; ტაბატაძეების, სულამანიძეების, ტოფაძეების და ყაზაიშვილების უბანში გარე განათების მოწყობა 16 000 ლარი

ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული

ახალთერჯოლა—სოფლის ცენტრში მინი სტადიონის მოწყობა 20 000 ლარი

ბოსელა—სოფლის ცენტრში მინი სტადიონის მოწყობა 10 000 ლარი

კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული

კვახჭირი—გარე განათების მოწყობა; სხვადასხვა ლოკაციაზე ცხაურების მოწყობა 16 000 ლარი

ოდილაური—გარე განათების მოწყობა; სანიაღვრე არხების მოწყობა 16 000 ლარი

სარბევი—მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია; გარე განათების მოწყობა; საბავშვო ატრაქციონის მოწყობა 16 000 ლარი

გოდოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოდოგანი—საბავშვო ბაღში ოთახების რეაბილიტაცია; მარგველაშვილების და არაბიძეების უბანში გარე განათებისათვის კაბელის შეძენა; ველებაში ბეტონის საფარის მოწყობა; ამბროლაძეები-აბესაძეების უბანში მოგირის მოწყობა; ამბროლაძეები-გერაძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა 20 000 ლარი

ნაგარევი—ზაქარაშვილების და ხუციშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა 12 000 ლარი

ბროლისქედი—ხიდის მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწყობა 12 000 ლარი

ჭალასთავი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული

ჭოგნარი—ჭოგნარში სხვადასხვა ლოკაციაზე სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა; ; აჭარლების უბანში გარე განათების მოწყობა 20 000 ლარი

ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეული

ნახშირღელე—საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; ნიკოლაძეების უბანში არსებული სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია 20 000 ლარი

ნავენახევი—გარე განათების მოწყობა 12 000 ლარი

ქვ. სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ქვედა სიმონეთი—გარე განათების რეაბილიტაცია; ბერძულების და ხოხიაშვილების უბანში ცხაურების მოწყობა; კლდიაშვილების და გვენეტაძეების უბანში მოსაცდელების მოწყობა-რეაბილიტაცია; საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა; ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები 20 000 ლარი

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ზედა სიმონეთი—აბულაძეების და ბუბაშვილების უბანში ბოგირის მოწყობა; გვენეტაძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა; საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 20 000 ლარი

სულ 690 000 ლარი

დამტკიცებულიათერჯოლისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის სხდომაზე. განკარგულება №29.29210643.

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცია!

„ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართველი ხალხის ზნეობრივი სიწმინდის, შრომისმოყვარეობის, ვაჟკაცური სულისკვეთებისა და ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი წარსული მდიდარია მოწინავე ქალთა სახელებით. მათი დედობა, მამულისათვის თავდადება, ფიზიკურ მშვენიერებასთან შერწყმული პატიოსნება, მაღალი ზნეობა სამშობლოს სინდისის სიმბოლო იყო.

ქართველ ქალებს დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნასა და დაცვაში. სოციალური უსამართლობისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლ ქალებს მაღლა ეჭირათ სისხლის წვიმებში გამოვლილი ეროვნული დროშა. მათი გმირობის ამბები ჟამთააღმწერლებთან ერთად ხალხურმა შემოქმედებამაც შემოგვინახა.

წყაროები მოგვითხრობენ, რომ ქართველი ქალები არა მარტო ოჯახურ საქმიანობას ეწეოდნენ, არამედ მძიმე განსაცდელის ჟამს აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის დაცვისა და მტრის განადგურებაში. ქართველი ქალი ოჯახში მუდამ ერთგული დედა იყო, ბრძოლაში უშიშარი მებრძოლი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი აქტიური და ენერგიული...“ დ. ქორიძის წიგნიდან „ქართველი ქალები“.

გაზაფხულს და პირველ დღესასწაულებს გილოცავთ...

თერჯოლელი ექიმები, სამედიცინო დარგის წარმომადგენლები ყოველთვის იდგნენ ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე, მაგრამ კოვიდ 19-ის პანდემიამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სამედიცინო კლინიკების, საექიმო ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები, დარგის თითოეული თანამშრომელი. მუნიციპალიტეტის ექიმ ქალბატონებს, მედდებს, ტექნიკურ პერსონალს ვულოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს და მშვიდობას ვუსურვებთ.

ძვირფასო ქალბატონებო, თითოეული თქვენგანი იმსახურებს საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას, სამადლობელს და კეთილ სიტყვას; ამჯერად მხოლოდ რამდენიმეს ვეუბნებით ქების სიტყვას.

მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთით...

ძალიან მალე, რამდენიმე წელიწადში იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა. მოსახლეობა იღებს ხარისხიან და ხელმისაწვდომ სამედიცინო დახმარებას. პაციენტები სარგებლობენ თანამედროვე კვლევის საშუალებებით, „თერჯოლამედმა“ გაუძლო კოვიდ დატვირთვას, სახეზეა სერიოზული მიღწევები და სწორედ იმიტომ, რომ კლინიკა კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. ისინი ბევრნი არიან, ბევრი იმსახურებს ვთქვათ მათზე ორიოდ სიტყვა და სამადლობელი. ძნელი გამოდგა მრავალ ქალბატონთაგან ორის ამორჩევა, მაგრამ არჩევანი მაინც გაკეთდა

რუსუდან ხაჭაპურიძე

ექიმი რადიოლოგი, ალერგოლოგი. დამთავრებული აქვს პერმის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ინტერნატურა—შინაგანი

მედიცინა, მიმღები განყოფილების ექიმი თერაპევტი, პრაქტიკული კურსი. გავლილი აქვს სტაჟირება ალერგოლოგიაში, სპეციალიზაცია რადიოლოგიაში, კურსი ულტრასონოგრაფიაში, ექოკარდიოგრაფიაში.

1980 წლიდან დღემდე მუშაობს ქუთაისის №1 მრავალპროფილიან საავადმყოფოში ექიმ ალერგოლოგად, რადიოლოდად, 1997 წლიდან დღემდე ქუთაისის სადიაგნოსტიკო ცენტრ „დია 92“-ში ექიმ რადიოლოგად. მიღებული აქვს სახელმწიფო სერთიფიკატები, ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას, არის მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასწავლის ქუთაისის სამედიცინო უნივერსიტეტში, როგორც მიწვეული ლექტორი, არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი, სისტემატურად მონაწილეობს სამედიცინო ასოციაციების და კონგრესების მუშაობაში, ფლობს კომპიუტერულ უნარებს, უცხო ენებს.

მის მიერ ჩატარებული თავის ტვინის, გულმკერდის ორგანოების, შარდ-სასქესო, კუჭ-ნაწლავის, სისხლძარღვოვანი და ძვალ-კუნთოვანი სისტემის გამოკვლევები და მიღებული გამოსახულების ინტერპრეტაცია, ეხმარებიან მკურნალ ექიმს სწორი და დროული დიაგნოზის დასმაში. რაც ხელს უწყობს ეფექტურ მკურნალობას და უკეთესი შედეგების მიღწევას, რადიოლოგიური კვლევების საშუალებით უზრუნველყოფილია აგრეთვე ვიზუალური კონტროლის ქვეშ მინიმალურად ინვაზიური სამკურნალო ან დიაგნოსტიკური პროცედურების ჩატარება, მიზანიც ნათელია—პაციენტის ცხოვრების ხარისხის ამაღლება, პათოლოგიური მდგმარეობების ადრეულ ეტაპზე გამოვლენით და მკურნალობით.

დიდი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით, ქალბატონი რუსუდანი „თერჯოლამედშიც“ მოღვაწეობს, მის მიერ ჩატარეული ზუსტი გამოკვლევები ბევრჯერ დახმარებია მის კოლეგებს პაციენტთა დროულ და კვალიფიციურ მკურნალობაში, აზრთა გაზიარებით, ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობით, გულისხმიერებითა და საქმის სიყვარულით მიზანი ყოველთვის მიღწეულია.

მაია კვეტენაძე

თერჯოლაში სამშობიარო სახლის გახსნა დიდი მოვლენა იყო. „თერჯოლამედში“ 12 წლის შემდეგ კვლავ დაიბადა პირველი და მომდევნო ახალშობილი, კიდევ მრავალი დაიბადება და მა-

თი სიცოცხლე ნეონატოლოგ მაია კვეტენაძის ხელში იქნება. მას დამთავრებული აქვს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული ფაკულტეტი, 2005 წლიდან აქტიურად არის ჩართული მრავალმხრივ და შრომატევად საქმიანობაში. არის სერთიფიცირებული ექიმი ნეონატოლოგი და პედიატრი, ნეონატოლოგთა ასოციაციის წევრი. სხვადასხვა წლებში დააგროვა მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება: სააფთიაქო ქსელში, სხვადასხვა კლინიკებში ექიმ ნეონატოლოგად და პედიატრად, ამ მნიშვნელოვანი დარგის არჩევა მისთვის არ იყო შემთხვევითი, გააზრებულად დადგა იქ, სადაც იწყება სიცოცხლე, სამშობიარო სახლში ნეონატოლოგური სამსახური ხომ 0 დან 28 დღემდე ჩვილის მკურნალობას და მეთვალყურეობას გულისხმობს, ოჯახთან, დედასთან ურთიერთობებს და ამასობაში „გაიზარდა“ პატარა, გაიარა პირველმა საფრთხეებმა.

ასეთი სერვისის არსებობა ევროპული სტანდარტების შესაბამისი აპარატურით სრული კომფორტია, ეს კი იმერმედშია, დღიდან სამშობიარო სახლის გახსნიდან, ნეონატოლოგიური სამსახურის უფროსი კი ექიმი მაია კვეტენაძეა—იგი თვითონ აცხადებს: „კლინიკა არის დედისა და ახალშობილის სიცოცხლისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის გარანტი“.

მაია ექიმს ძალიან უწყობს ხელს სხვადსხვა წლებში გავლილი ტრენინგები: ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და საქართველოში, 2003 წლიდან დღემდე 30 ტრენინგი და რეზიდენტურა აქვს გავლილი. აქვს გამოცდილება მართოს კრიტიკული, მაღალი რისკის ახალშობილი და პოსტრეამინაციული პერიოდები.

მაია კვეტენაძე არის და იქნება თერჯოლელი და არამარტო თერჯლელი ქალბატონების იმედი, მათი 0 დან 28 დღემდე ჩვილების მკურნალი და მეთვალყურე.

* * *

„თერჯოლამედმა“ ქალბატონების: რუსუდან ხაჭაპურიძისა და მაია კვეტენაძის სახით—ექიმის ფიცის ერთგული მედიკოსები ერთად შეჰყარა ადამიანთა ჯანმრთეობის დაცვისაკენმიმავალ გზაზე...

გაზაფხულს და მის ლამაზ დღესასწაულებს ვულოცავთ მშვენიერ ქალბატონებს და ვუსურვებთ—დიდხანს, ძალიან დიდხანს ეტარებინოთ მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი...

„ო, რა ხანია დაკარგულა თქვენი ღიმილი, სატრფოს კაბაზე ამწყდარ ღილივით“

ღვანკითელი ვალერი გოგნაძე, ძევრელი უშანგი სოფრომაძე, ჭოგნარელი ბადრი ბასილაძე, ბარდუბნელი ალია ბარდაველიძე, კვახჭირელი გიგა სახელაშვილი რუსეთ-საქართველოს ომს შეეწირნენ 2008 წლის აგვისტოში. ვალერი, უშანგი, ალია მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ, ბადრის და გიგას მშობლიური სოფლის მიწა აყრიათ. მათ საფლავებთან ხშირად მიდიან ოჯახის წევრები, მეგობრები, ყვავილები და სანთელი აქ მრავლად არის.

გმირული სიკვდილით დაიღუპნენ ბიჭები. ვის, ვის ნატვრაში ამოხდა ნეტა სული, ანდა, იყო კი საამისო დრო და გარემო. მიზანი და საფიქრალი კი საერთო იყო—დაეცვათ მშობლიური მიწა.

* * *

მძიმე დღეები უდგათ გმირი ბიჭების დედებს 12 წლის შემდეგაც. ტკივილი არ განელებულა, დედის ცხელი ცრემლი უსველებთ საფლავებს, ახსოვთ ქალბატონებს, როგორ უკრეფდნენ შვილები გაზაფხულის დღესასწაულების აღსანიშნავად და მოსალოცად მინდვრის ყვავილებს, საწოლთან დებდნენ მისალოც ბართებს, დამზადებულს და გაფომებულს ბავშვური ხელით.

* * *

ნუ დაღონდებით ქალბატონო ლიანა, ქეთო, დარეჯან, ციური, თქვენი შვილები ვალერი, უშანგი, ბადრი, ალია მარად ცოცხლები დარჩებიან. სამწუხაროა, რომ გიგას დედა ქალბატონი რუსუდანი აღარაა ცოცხალი, შვილს მიეახლა. მშვიდად იძინე—გიგა სახელაშვილის ხსოვნა სამუდამოა, თქვენიც.

* * *

ქართველ დედებს ყოველ დროს ჰქონდათ შვილებთან განშორების მძიმე დღეები, მათი დაღუპვით გამოწვეული სევდა-ვარამი, ყოველთვის, ბრძოლის ველზე გასტუმრებისას „წარბშეკრულები“ მოუწოდებდნენ მათ—ტყვია ზურგში კი არა მკერდში მოხვედროდათ: „თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ, არ დაიჭრათ მკერდები, ხელმეორედ ნუ გენახოთ საქართველოს ქედები“—თქვენც ალბათ რამე ამის მსგავსი უთხარით.

* * *

გაზაფხულია, დედის და ქალის დღეს ვულოცავთ გმირი შვილების დედებს, დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ შვილების საფლავების, მათი სულის ხსენების და იმის მაგალითად—თუ როგორი შვილი უნდა აღზარდო, ქალბატონ რუსუდანს კი სიმშვიდე ჰქონდეს იქ მაინც, სამუდამო განსასვენებელში.

ქალბატონები საუკუნის სიმძიმით

ჩვენ გულწრფელად და სიყვარულით მივულოცეთ ახალი 2021 წელი რაიონში მცხოვრებ საუკუნეს გადაცილებულ ქალბატონებს. დადგა გაზაფხული, თან მოჰყვა ყველაზე ლამაზი დღესასწაულები. კვახჭირელ თინა ხაჭაპურიძეს, ახალთერჯოლელ ქსენია დევიძეს, ზედა სიმონეთელ გოგოცა ბოგვერაძეს და თამარ გაგნიძეს, ვულოცავთ დედის დღეს 3 მარტს და ქალთა დღეს 8 მარტს.

თქვენ მოიხადეთ თქვენი ვალი ოჯახის და ქვეყნის წინაშე, ახლა ისვენებთ ყოველდღიური საზრუნავისაგან, მაგრამ ბევრს ფიქრობთ შთამომავალთა კეთილდღეობაზე და ლოცავთ მათ და არა მარტო მათ, არამედ ზოგადად ადამიანებს.

ჩვენ კი არ მოგვწყინდება თქვენთვის დაბადების დღეების თუ მნიშვნელოვანი დღესასწაულების მილოცვა, თქვენ ოღონდ იცოცხლეთ, ჩვენს იმედად და მაგალითად, მრავალს დასწოლოდეს მხრებზე საუკუნის „სიმძიმე“.

ისევ დადგება შეხვედრების დღე

თქვენი გამოცდილება, ცოდნა, განათლება, პასუხისმგებლობა კიდევ დიდხანს გამოადგებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, მაგრამ, ზოგი ნებით, ზოგი იძულებით სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წლებში შეელიეთ სკოლას და პენსიაზე გახვედით, თქვენთვის დღესაც ძვირფასია სკოლა და გაკვეთილები, მოსწავლეები. სახლში ხართ, მაგრამ ალბათ ხშირად ფიქრობთ სკოლის ავ-კარგზე, ყოფილ მოსწავლეებზე, ინტერესით ადევნებთ თვალს თქვენს შემდგომ თაობებს, რომლებისთვისაც არც აი-ია გისწავლებიათ, არც მათემატიკის ფორმულები, არც ენა ქართული, მაგრამ კვლავაც გაღელვებთ, როგორები არიან ისინი. შეგიძლიათ მშვიდათ იყოთ პენსიონერო მასწავლებლებო, ღირსეულო ქალბატონებო, ღირსეული თაობა მოდის, ნუ დაგაღონებთ ერთეული გამონაკლისი.

ათეულობით თაობამ, ათასობით ბავშვმა გამოიარა თქვენს ხელში და თითოეულის გულში გაქვთ დადებული ბინა, ისინი თქვენზე, თქვენ მათზე ფიქრობთ.

გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს ვულოცავთ რაიონის მცხოვრებ პენსიაზე გასულ პედაგოგ ქალებს. დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ. მრავალჯერ დაკრეფილა თქვენთვის იები და გაზაფხულის ყვავილები, ამჯერად, ტელეფონით მოგილოცავენ თქვენი აღზრდილები გაზაფხულის დღესასწაულებს, მალე დადგება შეხვედრების დღეც.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცია!

აუცილებლად მიართმევენ იებს...

ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანისათვის რომ ჯანმრთელობაა მას შემდეგ ვხვდებით, როცა ის ნელ-ნელა თუ ერთბაშად გვეცლება ხელიდან. იწყება შფოთვა, ნერვიულობა, შიში, სასოწარკვეთა და... ვის მივმართავთ ამ დროს?— უპირველესად ალბათ უფალს: „ღმერთო მიშველე“... და შემდეგ მივდივართ

ექიმთან იმ იმედით, რომ მოგვისმენს, გაგვსინჯავს, სათანადო გამოკვლევებს ჩავიტარებთ, სწორ დიაგნოზს დაგვისვამს, მკურნალობას დაგვინიშნავს და ყველაფერი კარგად იქნება...

სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტთა ნაკადი არ წყდება. ასეა „ევექსის“ კლინიკაშიც...

კოვიდ 19-ის პანდემიამ უამრავ ადამიანს გაუჩინა თავსატეხი, რიგ შემთხვევებში მათთვის ექიმთან ვიზიტიც კი მიუწვდომელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ „კორონას“ ვირუსით დაავადებულთა მკურნალობა მათთვის განკუთვნილ „ცხელების ცენტრებში“ მიმდინარეობდა, დაავადების შემდგომი პერიოდის მკურნალობისათვის „ევექსის“ კლინიკას უამრავი პაციენტი აკითხავდა, რომელიც დღემდე გრძელდება. რიგები ექიმებთან, ლაბორატორიებთან და ა.შ. აქ ყოველდღიურ მოვლენად იქცა...

გრძელი რიგი დგას ექიმ მაია შარიქაძის მისაღებში: „რა ვქნა, ამბობს შუახნის ქალბატონი, უნდა მოვიცადო, ძალიან აქებენ და იქნებ ჩემს ავადმყოფობას უშველოს რამე“; „რას ამბობთ,

აქამდე მაგის გამოწერილი წამლებით ვცოცხლობ“; „ძალიან ცუდად რომ ვიყავი, შვილმა თბილისში წამიყვანა სახელგანთქმულ ექიმთან, როცა მაია ექიმის დანიშნულება ნახა, მითხრა, შესანიშნავი ექიმი გყოლიათ თერჯოლაში, დიაგნოზიც სწორია და დანიშნული წამლებიც ძალიან კარგიო“—ამბობს ხანშიშესული ქალბატონი. „აწი არსად აღარ მივდივარ, ძალიან მიხდება აქ მკურნალობა“; „მეც ძალიან მიქეს ეს ექიმი, კორონამ გულისფრიალი დამიტოვა და იქნება მომცეს დანიშნულება ამ მდგომარეობიდან რომ გამოვიდე“—საუბარში ერთვება კიდევ ერთი ქალბატონი; „ღმერთმა უშველოს, მაგის წამლებით მიდგას სული“, ახლა საუბარს ხნიერი მამაკაცი უერთდება, რომელიც თავჩაღუნული ზის და ისე ამბობს, არავის უყურებს; „მეც „კორონას“ შემდეგ არ ვარ კარგად, ამბობს ახალგაზრდა მამაკაცი, სისუსტე და შიში მაქვს, გული მიჩქარდება და ზოგჯერ მაკანკალებს კიდეც“; „გიშველის უსათუოდ“ ამშვიდებს გვერდით მდგომი ქალბატონი, „მე ქუთაისში დავდიოდი ექიმთან და ახლა უკვე ორი წელია აქ დავდივარ, მაია ექიმმა იცის ჩემი გულის მდგომარეობა, ძალიან მიხდება მაგის გამოწერილი წამლები და ასევე წამალივით მიხდება იმედიანი დარიგება“...

ერთი სიტყვით გრძელ რიგში მდგომი ადამიანების უმრავლესობას საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი მაია ექიმის მკურნალობა და მისი შედეგით კმაყოფილიცაა, ხოლო ვისაც ჯერ არ ჰქონია მასთან ვიზიტი, იმედოვნებს, რომ მისი წნევისა და გულის პრობლემებიც მოგვარდება...

მაია შარიქაძე უკვე ოც წელზე მეტია, თერჯოლელ მედიკოსებთან ერთად, ადამიანთა ჯანმრთელობას ემსახურება. თერაპევტსა და კარდიოლოგს უხვად აქვს მომადლებული ყველა ის თვისება, ასე ძალიან რომ სჭირდება ექიმსაც და მის პაციენტებსაც: პროფესიონალიზმი, ადამიანების სიყვარული, მოთმინება, თანადგომისა და თანაგრძნობის განცდა... პროფესიის უზომო სიყვარული კი აძლევს ძალასა და ენერგიას დილიდან დღის ბოლომდე, უმეტეს შემთხვევაში ფინჯანი ყავის ამარა მშვიდად, ღიმილიანი სახით მოუსმინოს თითოეულს, ვინც მისგან შველას ელოდება, დააიმედოს, სათანადო წამლები შეურჩიოს... ასე გრძელდება ყოველდღიურად. მისთვის უცხო და მიუღებელია გულგრილობა, რადგან საქმე ყველაზე მნიშვნელოვანს, ადამიანის სიცოცხლეს ეხება და მაღალ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს.

კოვიდ 19-ის პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევაა როგორც პაციენტებისათვის, ასევე მედიკოსებისთვისაც, ვირუსი ადამიანებში სხვადასხვა სახის გართულებებს და ნარჩენ მოვლენებს ტოვებს. მაია ექიმთან მათი უმრავლესობა ანალიზების გაუარესების, შიშისა და ნერვოზული მოვლენების ფონზე განვითარებული წნევისა და კარდიოლოგიური პრობლემებით მიდიან და სათანადო რჩევა დარიგებასა და დანიშნულებას იღებენ...

როგორც ყველა ექიმი მაია ექიმი ბედნიერია, როცა მძიმე დაავადებასთან ბრძოლაში, პაციენტებთან ერთად იმარჯვებს, როცა ყოფილი პაციენტები მადლიერებას სიყვარულით გამოხატავენ. ეს წერილიც სწორედ მისი პაციენტების მადლიერების და სიყვარულის გაცხადების გამოხატვაა.

ქალბატონი მაია გარდა იმისა, რომ წარმატებული ექიმია, ერთი ლამაზი ქართული ოჯახის დიასახლისი, დედა და მეუღლეა. მეუღლესთან, რომელიც აგრეთვე ექიმია, ვალერი მურადაშვილთან ერთად ეწევა ოჯახური ცხოვრების ჭაპანს, სიყვარულით აღზარდეს მარიამი და ჯუმბერი, რომლებიც მალე თავადაც ექიმები იქნებიან და უკვე დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამენ ცხოვრებაში.

მაია ქმარშვილისაგან, ახლობლებისაგან თუ პაციენტებისაგან ყოველთვის ყურადღებით და სიყვარულით არის გარემოსილი, თუმცა, დედის დღე და 8 მარტი გამორჩეულია, მას უსათუოდ მიულოცავენ და მიართმევენ იებს...

P.S. კლინიკა „ევექსის“ მედპერსონალთა უმრავლესობა ქალბატონები არიან, რომელსაც ენერგიული და ყურადღებიანი ქალბატონი ნინო მახათაძე ხელმძღვანელობს. თითოეულ მათგანს ვულოცავთ ქალთა დღესასწაულებს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში, გაუხუნარ სიყვარულს, სილამაზეს და ქალურ ბედნიერებას სიცოცხლის ბოლომდე.

მზია ცქიფურიშვილი

„თუ ბედავ სწავლებას, თავადაც არასოდეს შეწყვეტო სწავლა“



ეს ცნობილი და ბევრის მთქმელი სიტყვები საფუძვლად უდევს მის პედაგოგიურ საქმიანობას. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალისტს, დახელოვნების ინსტიტუტის დაწყებითი განათლების სპეციალური ფაკულტეტის კურსდამთავრებულს აქვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღმზრდელად და გამგედ მუშაობს გამოცდილება, პედაგოგობის 15 წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩხარის №2 საჯარო სკოლის დირექტორს ნუკრი კობახიძეს ეთქვა: „არასოდეს ამბობს უარს დახმარებაზე, შორენა ტაბატაძე არის 2012 წლიდან სერთიფიცირებული, 2019 წლიდან წამყვანი მასწავლებელი, მუშაობს დილიდან-საღამომდე, სისტემატურად იმაღლებს ცოდნის დონეს, არის სკოლის დასაყრდენი, განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა კორონავირუსის პანდემიის დროს, ხშირად მიმართავენ დახმარებისათვის მშობლები, მოსწავლეები, პედაგოგები რჩევას ეკითხებიან, ხშირად ატარებს ტრენინგებს, ციფრული ტექნოლოგიები მისთვის კარგად არის ცნობილი, ყველაფერს აკეთებს სკოლის სახელის წარმოჩენისათვის“.

15 წელი საკმარისი აღმოჩნდა შორენა ტაბატაძისათვის იყოს ღრმად განსწავლული, საგნის მცოდნე, კარგად ასწავლოს ბავშვებს და უყვარდეთ. მისთვის სწავლება და აღზრდა განუყოფელია ერთმანეთისაგან, პირველხარისხად არის ქცეული აღზრდაზე, სულისა და გონების გაკეთილშობილებაზე ზრუნვა; ასე ზრდიდა მოსწავლეებს და შვილებს: სალომეს, რომელიც ახლა უმაღლესი განათლებითაა, ბაჩუკი კი სტუდენტი. შორენას ჰყავს მეუღლე გია თორთლაძე, შპს „ბორანის“ თანამშრომელი, ისიც ოჯახზე შეყვარებული.

ჩვენ შეგვიძლია განვაზოგადოთ შორენას გამოცდილება:

„ქვეყანაში პანდემიის აცილების მიზნით, პრევენციული ზომების გატარების აუცილებლობამ, ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის მოითხოვა სასწავლო პროცესის აქამდე უჩვეულო ფორმატზე - დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანა.

მყისიერად შეცვლილმა რეალობამ უამრავი სირთულის წინაშე დაგვაყენა. ერთერთი უმთავრესი გამოწვევა, რის წინაშეც განათლების საკითხებით დაინტერესებული ადამიანები დადგნენ, სწავლა- სწავლების პროცესის ონლაინ/დისტანციური ფორმატია. სკოლების უმრავლესობამ აირჩია მაიკროსოფტის პლატფორმა TEAMS-ი. რომელიც დღითიდღე უფრო იხვეწება ტექნიკურად. აქვს უამრავი შესაძლებლობა სწავლა - სწავლებისთვის. ფაქტია, მსგავსი სწავლების გამოცდილება საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს თუ ჰქონდა. მაგრამ ამასაც შესანიშნავად გავართვით თავი ერთმანეთის გვერდით დგომით და სწავლით. კოლეგებს ვუწევდი დახმარებს, ვაწვდიდი ინსტრუქციებს პლატფორმაზე მუშაობის შესახებ.

მე ჩემ მოსწავლეებთან ერთად , ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს თიმსში. სისტემატიურად ვაძლევდი დავალებებს, ვუხსნიდი მათთვის გაუგებარ საკითხებს და ვთანამშრომლობდით. ახლა, როცა პირისპირ სწავლებაზე გადავედით, პლატფორმას ისევ აქტიურად ვიყენებ, ვაწვდი მოსწავლეებს სხვადასხვა საავარჯიშოებს და დავალებებს.

მას შემდეგ, რაც დისტანციურ სწავლებაზე გადავედით, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ყველაფერთან ერთად შეიცვალა სწავლა/სწავლებისთვის დახარჯული დრო. მოსწავლეებისთვის მეტი დრო გამოთავისუფლდა, ვიდრე ეს ხდებოდა პირისპირ სწავლების შემთხვევაში. მასწავლებლებისგან კი პირიქით - ითხოვს მეტ დროს, შრომასა და ენერგიას, ვიდრე ეს COVID 19 - მდე იყო. მიზეზი გახლავთ ის, რომ პედაგოგს უწევს ზრუნვა ახალი მასალის მოძიებაზე, ფიქრი მის ადაპტაციასა თუ შექმნაზე ისე, რომ მოარგოს ამათუ იმ მოსწავლის საჭიროებებს. ამასთანავე რესურსი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის გასაგები, თვალსაჩინო და მარტივად აღქმადი, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლონ დავალებისთვის თავის გართმევა. ყველაფერ ამას რომ თავი გავართვათ გეგმაზომიერად გაწერილი აქტივობები უნდა განვახორციელოთ.

ონლაინ სწავლებამდეც არასდროს ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ წიგნით და ვქმნიდი ელექტრონულ რესურსებს. ახლა, როცა ამგვარად სწავლება გახდა სასწავლო პროცესის ერთადერთი გზა და ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც მკაფიოდაა დასაბუთებული ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა, თითქმის ყველა გაკვეთილს ვქმნიდი ელექტრონულად და ახლა პირისპირ სწავლების დროსაც ვაგრძელებ . ასევე აქტიურად ვქმნი მულტიმედიურტექსტებს, ელექტრონულ წიგნებს, სახალისო საავარჯიშოებს. რომლებსაც ვაწვდი არამარტო მოსწავლეებს , არამედ ვუზიარებ კოლეგებსაც სხვადასხვა ჯგუფებში. მაქვს საკუთარი გვერდი ინოვაციურ სივრცეში WAKELET, რომელიც ღია მაქვს მსურველებისთვის სადაც საგნების მიხედვით მაქვს განთავსებული ჩემ მიერ შექმნილი რესურსები. როდესაც დროის დაზოგვა ასეთი მნიშვნელოვანია ისედაც დაძაბულ მდგომარეობაში, კოლეგები ვცდილობთ ერთმანეთს უშურველად გავუზიაროთ ჩვენი ნაშრომები.

მინდა ავღნიშნო მშობელთა დიდი წვლილი დისტანციურ და არამარტო დისტანციურ სწავლებაში. რომ არა მათი ასეთი თანადგომა და მონდომება, ძნელი იქნებოდა მუშაობა , მითუმეტეს ონლაინ. ამჟამად ვასწავლი პირველ და მეორე კლასებს და ვარ მათი დამრიგებელი. მოგეხსენებათ, რა რთულია მუშაობა პატარებთან , რომლებიც ახლა იწყებენ ყველაფრის სწავლას. სწორედ მშობელთა დახმარებით და თანადგომით გვაქვს უამრავი წარმატება. ჩემი სადამრიგებლო კლასების 100% ჩართულია izrune.ge-ს დიდ და მზრუნველ ოჯახში. ყოველი თვის ბოლოს ორივე კლასი ხდება „ თვის სუპერკლასის „ წოდების მქონე, რაც ერთგვარი სტიმულია ჩვენთვის. თებერვლის თვეში ჩვენ უკვე მეექვსედ გავხდით ამ წოდების მქონე კლასები.

მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს საკუთარი ცოდნის ამაღლებაზე. მეც ვცდილობ არ გავჩერდე, უფრო მეტი ვისწავლო რომ ვასწავლო. ვესწრები სხვადასხვა ტრენინგებს და ვებინარებს, რომ მათი დახმარებით და გამოყენებით უფრო საინტერესო და ხარისხიანი გაკვეთილები ჩავატარო. არამარტო ვსწავლობ, ჩემ გამოცდილებასაც ვუზიარებ კოლეგებს. მაქვს საკუთარი ჯგუფი facebook-ზე „ პირველი ნაბიჯები“ და იგივე სახელწოდების ჯგუფი თიმსში. სადაც რეგულარულად ვატარებთ შეხვედრებს კოლეგებთან, ვუზიარებთ ერთმანეთს ონლაინ ინსტრუმენტებზე წვდომის ცოდნას.

მინდა წარმატებები ვუსურვო ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს, განსაკუთრებით ამ მეტად რთულ პერიოდში. მჯერა, რომ ერთმანეთის გვერდით დგომით ჩვენ შეუძლებელს შევძლებთ“.

***

მასწავლებლის დანიშნულება პირველყოფილი თემური წყობილებიდან იღებს სათავეს. მოზარდებს ზრდიდნენ გვარის უხუცესი წევრები, ასწავლიდნენ მათ თემის ადათ-წესებს, რელიგიურ კანონებს. გარკვეული აზრია შემუშავებული „სიბრძნე ბალავარისა“-ში, რომლის მიხედვით მასწავლებელი ბრძენი უნდა იყოს და კარგად ესმოდეს აღზრდის დანიშნულება.

მასწავლებელი ანგარიშვალდებული უნდა იყოს საკუთარი სინდისის და ერის წინაშე, იყოს სანიმუშო და მისაბაძი.

ასეთ პედაგოგს მიჰყვება მოზარდი უყოყმანოდ.

ჟუჟუნა ცხადაძე

გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი ერთად მოგვილოცია!

ქართველი ქალები



უცხოელი მწიგნობარ-მოგზაურნი ოდითგანვე აღნიშნავდნენ ქართველი ქალების მომხიბვლელობას, სილამაზეს, მახვილგონიერებას; თავაზიანობის, სათნოების, დიპლომატიურ ნიჭს, ასევე ზნეობრივ თვისებებსა და ვაჟკაცურ სულს.

დიდი ბერძენი ტრაგიკოსი ესქილე უკვდავ ტრაგედია „მიჯაჭვულ პრომეთეში“ ახსენებს კოლხეთს, როგორც მებრძოლ ქალთა ქვეყანას, ახასიათებს მის ქალებს, როგორც ომში ვაჟკაცურ და უშიშარ მებრძოლებს.

რომაელი მისიონერი პატრი პავლე მოუთხრობს თანამედროვეებს, რომ „ქართველი დედაკაცები არიან ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანი... მათ ცხენოსნობაც იციან, შვილდოსნობაც, სანადიროდ მიმინოც დაჰყავთ ხელით...

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ვერ მალავს ქართველი ქალების სილამაზით გამოწვეულ აღფრთოვანებას და წერს: „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა, მთელ მსოფლიოში. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი. ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვედრია. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვას ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია, თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა... ქართველი ქალები არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში გასაოცრად წვრილნი, „ბუნებით მეტად ნიჭიერნი, მახვილი გონებისანი, ზრდილნი, თავაზიანები, თავმომწონენი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი. მათ დიდათ მოსიყვარულე გული აქვთ“.

მსგავსი ხასიათის უცხოური ისტორიული წყაროების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ბუნებრივია უხვად არის წარმოდგენილი ქართველი ქალის სახე ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვაობასა და კლასიკურ ლიტერატურაშიც, სადაც ქალი წარმოდგენილია, როგორც მებრძოლი, ქვეყნის მფარველი და როგორც დედა, მშობელი, ერის და გვარის გამგრძელებელი.

რა თქმა უნდა, უპირველესად ფეოდალური ხანის საქართველოს მეფე-მმართველის თამარის სახება აჩენს ფენომენს, რასაც ჩვენი ქვეყნის აღორძინება და განვითარება მოჰყვა.

თამარის მეფობის პირველ პერიოდში დაძაბული შინაკლასობრივი ბრძოლის ვითარებაში, საქართველო მხოლოდ მეზობელთა თავდასხმებს იგერიებდა და ფეოდალური სახელმწიფოსათვის ჩვეულებრივ წვრილ სასაზღვრო თარეშებს აწყობდა. XII ს. 90-იანი წლებიდან საქართველომ ფართო ფრონტით შეუტია სელჩუკებს. მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელები გაერთიანდნენ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ დახმარება სთხოვეს მაჰმადიანთა უზენაეს სახ. ხელისუფალს ბაღდადის ხალიფას. 1195 წ. შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს მტერზე, შემდეგ დაამარცხეს რუმის სულთანის ლაშქარიც, აიღეს ყარსი. საქართველოს ჯარმა ილაშქრა ხანოთზე, არჭემზე, დალაშქრეს ჩრდ. ირანი და ა.შ.

თამარის მეფობის დასრულებისათვის საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები იყვნენ აღმოსავლეთით შირვანი და რანი, ჩრდილოეთით ქაშაგეთი, ოსეთი, ლეკეთი და დარუბანდი. მოხარკე ქვეყნები სამხრეთით—ხლათის სასულთნო, ერზინგის სასულთნო კარუნუქალაქის საამირო, ნახჭევანის საამირო, XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დასაწყისში ფეოდალურმა საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

თამარის მეფობაში საქართველოში ფართო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა—აშენდა გზები, ხიდები, ციხესიმაგრეები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები. მის დროსაა აგებული ბერთუბნისა და ბეთანიის მონასტრები. ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და სხვ. თამარი მფარველობდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის ცენტრებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. მფარველობას უწევდა მეცნიერებს, პოეტებს, ხელოვანთ.

ქართულმა ეკლესიამ თამარი წმინდანად შერაცხა, ისტორიკოსები და პოეტები ხოტბას ასხამდნენ მას. ფუნჯის ოსტატები ხატავდნენ პორტრეტებს. თამარი იქცა ქართველი ხალხის სათაყვანებელ პიროვნებად. ძვ. საქართველოს მოღვაწეებიდან ყველაზე მეტი პოემა, ლექსი და ლეგენდა თამარისადმია მიძღვნილი. (მ. შ. ჩახრუხაძისა და შავთელის ოდები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“).

ისტორიის ფურცელი

გურანდუხტი, დავით IV აღმაშენებლის მეუღლე, ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული გახლდათ. დავით აღმაშენებლის მოყვრობამ ათრაქა შარაღანის ძესთან ხელი შეუწყო ყივჩაღებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და გარკვეული როლი შეასრულა საქართველოში მათ ჩამოსახლებაში.

***

ყივჩაღთა ასულმა გურანდუხტმა საქართველოს დედოფალმა, დავითის გარდაცვალების შემდეგ თმები შეიჭრა, თალხი ჩაიცვა და იერუსალიმს მიაშურა.

მონაზვნად აღკვეცილმა გურანდუხტმა მთელი სიმდიდრე ქართველ დედათა მონასტერს მოახმარა.

ბოლოს, როცა იერუსალიმში შიმშილობა ჩამოვარდა, უკანასკნელი განძი—ოქროს ძვირფასი ჯვარი გაყიდა და მისი საფასურით მონასტრის წმიდა დედებს უშველა.

ეს ჯვარი არ დაკარგულა. იგი ახლაც ინახება საფრანგეთში, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში.

მოამზადა ნუგზარ გამყრელიძემ

...შენ გაზაფხულზე დაიბადე...

...ირგვლივ გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა. კარგა ხანია ამოჭრა იამ, ფურუსულამ და სხვა უნაზესმა ყვავილმა. გაზაფხულს პირველი დღესასწაულები—3 და 8 მარტი მოჰყვა. ქალები ბევრ სფეროში მრავლად არიან დასაქმებულნი. მათ შორის სკოლებში. ვულოცავთ მათ დღესასწაულებს, ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

სკოლაში სწავლა განახლებულია, ისევ დაიკრიფა მინდვრის ყვავილები, ყვავილთა კონები, იები, ცისფერი იები, არა ცისფერი კი არა, იისფერი იებით აივსო საკლასო ოთახები, სამასწავლოები, მოსწავლეთა დიდმა არმიამ გაზაფხული, დედის და ქალთა დღე მიულოცა საყვარელ პედაგოგებს, ტექნიკურ მუშაკებს, ზოგს დაბადების დღეც.

3 მარტს დაიბადნენ

ხათუნა ბოჭორიშვილი (ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლა); ირმა გიორგაძე (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა); ეთერ ტურავა (ღვანკითის საჯარო სკოლა); დარეჯან აბესაძე (ჭოგნარის საჯარო სკოლა);

8 მარტს დაიბადნენ

შორენა გვენეტაძე (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა); შორენა კახიძე (სიქთარვის საჯარო სკოლა); ცირა მურჯიკნელი (ღვანკითის საჯარო სკოლა); ნანა ისაკაძე (ძევრის საჯარო სკოლა); ლილი ცქიფურიშვილი (ძევრის საჯარო სკოლა); ნინო ხუჯაძე (ღვანკითის საჯარო სკოლა).

ვულოცავთ.

გაზაფხულმა შემოაბიჯა და იმედი, ხალისი, სიცოცხლის სურვილი ჩაგვისახა ყველას გულებში. მარტი დადგა და დედების, ძვირფასი ქალბატონების ფასსა და ამაგს მეტად შევიგრძნობთ. ყველა ქალს მინდა, მოვეფერო, მივულოცო, მადლობა ვუთხრა მნიშვნელოვანი როლისთვის, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით, პატივისცემით, გამორჩეული სურვილებით სამი და რვა მარტი სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორსა და ქალ მასწავლებლებს მინდა, მივულოცო. სკოლაში, როგორც მშობელმა, ურთიერთობა 13 წლის წინ დავიწყე და დღეიდან შვიდი წელი კიდევ მიწევს მშობლის სტატუსით ყოფნა. ჩემი სამი შვილი ამ ძვირფასი ქალბატონების ხელში დაფრთიანდა და არასდროს მქონია შიში, რომ მათ სკოლაში ზრუნვას დააკლებდნენ და დედის მაგივრობის გაწევა გაუჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ მეიმედებოდა ყველა მათგანი.

ჩვენო ძვირფასო პედაგოგებო, მინდა, დედისა და ქალთა დღე ერთად მოგილოცოთ! თქვენ ჩვენი შვილების აღმზრდელები ხართ და ჩვენზე მეტი თუ არა ნაკლები წვლილი არ მიგიძღვით მათ ჩამოყალიბებაში. ძალიან ბევრ სიხარულს გისურვებთ, წარმატებებს, ბედნიერებას, სითბოთი და სიყვარულით სავსე დღეებსა და წლებს, ბევრ საამაყო მოსწავლეს, მადლიერ მშობელსა და თავდაუზოგავი შრომის შედეგს- იმედების გამართლებას. გიყურებთ და ვაფასებთ, როგორ შრომობთ. ქალბატონი ია კვატაიას შეუპოვარსა და მებრძოლ ხასიათს, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულს, თავის დიდ გუნდთან ერთად, თავისი ყოველთვის გააქვს, რაც ჩვენი შვილების წარმატებასა და კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაში მთავარი განმაპირობებელია. როგორც მშობელს, მეამაყება ჩვენი სკოლა და მეამაყებით თითოეული თქვენგანი. მადლობას გიხდით ამ თავგანწირული შრომისთვის. გაზაფხულივით ფერადები და ლამაზები ყოფილიყავით მუდამ.

დარეჯან თხელიძე
მშობელი,
სიქთარვის საჯარო
სკოლა

ძვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს, გაზაფხულივით მშვენიერნო, შვილების ღირსეულად აღმზრდელნო და საამაყო ქალბატონებო.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერებას. წარმატებები სათუთ საპასუხისმგებლო საქმიანობაში. იყავით ყოველთვის ლამაზები, ხალისიანები, ბედნიერი დედები, მეუღლეები და ბებიები.

თამარ ბრეგვაძე,
თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღი ,
აღმზრდელის თანაშემწე

ნატო აბულაძეს

ჩვენს საყვარელ დირექტორს, საუკეთესო მეგობარს, საუკეთესო მეუღლეს და სხვა უამრავი კარგი თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში.

დიახ, საუკეთესოები საუკეთესოს იმსახურებენ.

გილოცავთ ქალბატონო ნატო დიდი სიყვარულით და პატივისცემით.

ზედა ალისუბნის საბავშვო
ბაღის თანამშრომლები

ბოლშევიკურ სიცრუეში ჩაკარგული რეალობა. იუნკერები

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის 100 წლისთავის გამო

ჩვენი გაზეთის ფორმატის ფარგლებში „თერჯოლაში“ რამდენჯერმე გამოვაქვეყნეთ მასალები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ) შექმნის, პირველი ქართული კონსტიტუციის მიღებისა და იმდროინდელ საქართველოში განხორციელებულ საკმაოდ ეფექტურ რეფორმებზე, რაც დღეისათვისაც კი წარსულის ჭკუასასწავლებელ მაგალითებადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

სამწუხაროდ, იმ წლებში ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ხდებოდა მეტად მტრულ გარემოცვაში, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ამ მხრივ საბედისწერო გამოდგა 1921 წლის თებერვალი-მარტი, როცა ქართული სახელმწიფო უთანასწორო ბრძოლებში დაუპირისპირდა ქვეყანაში 5 მიმართულებით შემოჭრილ ბოლშევიკურ წითელ რუსულ არმიებს. მარტოდ-მარტო დარჩენილმა ქვეყანამ, მომხდური მტრის ჭარბ ძალებს ვეღარ გაუძლო მისმა მთავრობამ დატოვა დედაქალაქი და ემიგრაციაში წავიდა. თბილისი წითელარმიელებმა დაიკავეს.

ბოლშევიკური პროპაგანდა საგულდაგულოდ მალავდა და აყალბებდა გააფრთებული ბრძოლების ფაქტებს, ურცხვად ქმნიდა ახალ ფილოსოფიურ ისტორიას...

ჩვენს მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს, მათ ვისაც საბჭოთა პერიოდში მოუწიათ ცხოვრება, ისე ასწავლიდნენ თითქოს 1921 წლის თებერვალ-მარტში, არათუ რუსულ-ქართული ომი, არამედ რამდენადმე სერიოზული კონფლიქტიც კი არ ყოფილა და დემოკრატიული საქართველო, იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული დემოკრატიული კონსტიტუციის მიმღები ქვეყანა, ვითომდა დიდი ტაშ-ფანდურით შეხვდა ბოლშევიკურ რუსულ წითელ არმიას. რეალობის გაყალბებითა და წლების მანძილზე ასეთი პროპაგანდით რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა მიზანს მიაღწიეს. შედეგად, 1921 წლიდან, მთელი შვიდი ათეული წლის მანძილზე, 1921 წლის 25 თებერვალი—თბილისში რუსული ჯარის შემოსვლის დღე, ქართულ კალენდარზე ყალბად იყო მონიშნული საბჭოთა საქართველოს გამორჩეულ სადღესასწაულო დღედ. არადა ამ დღის შემდეგ, ისე როგორც მანამდე, 11 თებერვლიდან მოყოლებული, თითქმის მთელი ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ნამდვილი რუსულ-ქართული ომი, ომი მისი მთელი კომპონენტებით, სადაც ქართველებმა აჩვენეს სამშობლოსათვის თავგანწირვის არაერთი გამორჩეული მაგალითი...

საბრძოლო ოპერაციებმა იმ ორ თვეში თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. ორივე მხრიდან მასში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული ათასი მებრძოლი. საინტერესოა, რომ ამ ბრძოლებში გამოყენებული იყო ავიაცია, ჯავშნოსანი მატარებლები, ტანკები, რაც შეიარაღებაში ბევრი ქვეყნის ჯარსაც კი არ ჰქონდა, აღარაფერს ვამბობთ ცხენოსან შენაერთებზე, არტილერიასა და ფეხოსან ნაწილებზე.

ხაზგასასმელია, რომ ცალკეულ შეტაკებებში მცირერიცხოვანმა ქართველებმა რამდენჯერმე დაამარცხეს კიდეც მოწინააღმდეგე, ხელში ტყვედ ჩაიგდეს ასეულობით ჯარისკაცი და გარკვეული რაოდენობის სამხედრო ტექნიკა. თუმც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბოლოოდ მაინც დავთმეთ პოზიციები...

თოვდა… და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი–
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს–
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა… და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა… და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!

☞ 12

კოლაუ ნადირაძე

ვემსახურები საქართველოს!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი დაესწრნენ.

საქართველოს თავდაცვის ძალების პოპულარიზაციის მიზნით, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ქალაქის ტერიტორიაზე გადაინაცვლეს, სადაც დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს ინფორმაცია სამხედრო სამსახურში კონტრაქტის პირობების, ანაზღაურების, სოციალური მხარდაჭერისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობების შესახებ.

სამხედრო სამსახურში 18-დან 35 წლამდე საქართველოს მოქალაქეები 4-წლიანი კონტრაქტით მიიღებიან.

იმისთვის, რომ გახდეს რეკრუტი, მოქალაქე აბარებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტს. რეკრუტი გადის სამხედრო სამედიცინო კომისიას, შემდეგ ირიცხება საწყისი საბრძოლო მომზადების 10-კვირიან კურსზე (BCT-basic combat training). სპეციალურ პროგრამაზე ჩარიცხვის დღიდან რეკრუტი უზრუნველყოფილია კვებით, სამხედრო ფორმით (საველე აღჭურვილობით), სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და განთავსებით.

ასევე, სამხედრო მოსამსახურეები 4 წლის განმავლობაში მაღალანაზღაურებას მიიღებენ. თანამდებობრივი სარგოს რაოდენობა იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, საკონტრაქტო სამსახურის დაწყების შემდეგ მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ პროფესიული განათლება, როგორც შეიარაღებული ძალების სამხედრო სასწავლებლებში, ასევე სამოქალაქო კოლეჯებში.

P.S. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება ბ 28. 282104723

16. 02. 2021

2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გასაწვევ უბანზე მიწერის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით კომისიის შექმნისა და სამოქმედო წესის განსაზღვრის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 28.01.2021 წლის №ბ28. 28210284 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის 61 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გასაწვევ უბანზე მიწერის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით კომისიის შექმნისა და სამოქმედო წესის განსაზღვრის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 28.01.2021 წლის №ბ28.28210284 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1. 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გასაწვევ უბანზე მიწერის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას სამხედრო აღრიცხვისა და მიწერის კომისია შემდეგი შემადგენლობით.

ა) ლაშა გოგიაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი. კომისიის თავმჯდომარე.

ბ) პაატა გოგიაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გ) მირზა მაგრაქველიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

დ) გიორგი ლანჩავა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თერჯოლის რაიონული სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

ე) ქეთევან შეყრილაძე - თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი.

ვ) მარინა მაკარიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

მუხლი 2. 2004 წელს დაბადებული ჭაბუკთა სამხედრო აღრიცხვა ჩატარდეს 2021 წლის 5 მარტიდან 2021 წლის 30 აპრილამდე.

მუხლი 3. პირველად სამხედრო აღრიცხვას ექვემდებარება ყველა მოქალაქე, რომლებიც დაბადებულნი არიან 2004 წელს, ცხოვრობენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით, აგრეთვე უფროსი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ აყვანილი სამხედრო აღრიცხვაზე.

მუხლი 4. სამხედრო აღრიცხვის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული სოფლები დაყოფილი იქნეს სამოქმედო ზონებად.

ბ) სამხედრო აღრიცხვა ჩატარდეს თემებისა და სოფლების მიხედვით, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

მუხლი 5. 1. ეთხოვოს თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორს სათანადო მუშაობა ჩაატაროს სკოლების დირექტორებთან მიწერას დაქვემდებარებული კატეგორიის ახალგაზრდების მისაწერ უბანზე გამოცხადებისა და პირადი საქმეების მოწესრიგებისათვის.

2. დაევალოს მერიის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლებს, სათანადო დახმარება აღმოუჩინონ კომისიას მიწერის ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით.

3. მუნიციპალიტეტის მერიამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირველადი სამხედრო აღრიცხვის დაფინანსება.

4. ორგანიზაციებისა და სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებმა, შესაბამის უწყებათა საფუძველზე უზრუნველყონ სამუშაოდან, სასწავლო დაწესებულებებიდან იმ ჭაბუკთა დროებით გამოთავისუფლება, რომლებიც ექვემდებარებიან პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას.

5. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელმა სისტემატურად მომახსენოს პირველადი სამხედრო აღრიცხვის მიმდინარეობის შესახებ.

6. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე ვივალებ პირადად.

მუხლი 6. ბრძანება ჩაბარდეს კომისიას, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს, მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიულ ორგანოებს.

მუხლი 7. ბრძანება გამოქვეყნდეს რაიონულ გაზეთში: „თერჯოლა“.

მუხლი 8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლაშა გოგიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“
კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე

ძველი რომაელები ამბობდნენ, ყველაზე დიდი სიმდიდრე ის არის, თუ ვინმე შენზე დაწერს და შენს სახელს სხვას ამცნობსო.

მე ძალიან მომწონს ეს აზრი, ამიტომ ვცდილობ დავწერო ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრები არიან და მათზე სხვა არ დაწერს. ამჯერად, აგერ ქალაქში, ჩემს მეზობლად მცხოვრებ ახალგაზრდა კაცს დავით კლდიაშვილს გაგაცნობთ. მას რაიმე საგმირო საქმეები არ ჩაუდენია, მაგრამ თავის ცხოვრების წესით სხვას რომ კარგ მაგალითს აძლევს, ეს ცოტას როდი ნიშნავს. ზრდილი, მოწესრიგებული, სასიამოვნო მოსაუბრე... ეს დავითის (ახლობლობაში დათოს ვეძახით) ის თვისებებია ,ასე რომ გაგვიძვირდა ამ ბოლო დროს, ახალგაზრდების გარკვეული ნაწილიდან და საერთოდ ძალიან კონტრასტული გახდა მათი შემადგენლობა. ერთნი, რომ შრომა-გარჯით არიან დაკავებულნი, მეორენი დილიდან საღამომდე „ჯოკერს“ თამაშობენ და სიგარეტი მომაწევინეო სხვას ეხვეწებიან, ერთნი რომ სკოლაში ბეჯითობენ და უმაღლეს სასწავლებლებში 100%-იანი გრანტით ირიცხებიან, მეორენი წიგნში არ ჩაიხედავენ და თუ ამაზე მასწავლებელმა შენიშვნა მისცათ, მანდატურთან გარბიან დასასმენად-შეურაცხყოფა მომაყენა ამხანაგების თანდასწრებითო...



კონტრასტები კი იცოცხლე, არც სხვა მხრივ გვაკლია. აი, ამ ჩემს კარის მეზობელზე თუ შეიძლება გაიმეორო სხარტულად ნათქვამი „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“. საერთო მასშტაბით თანდათან მრავლდება ისეთები, ღობეზე გადაფრენილი ქათმისათვის დანა-სისხლად რომ გადაეკიდება მეზობელს და შეჭმას დაუწყებს. იქნებ ეს ყოველივე იმ აგრესიული გარემოს ბრალია, დღესდღეობით რომელშიც გვიწევს ცხოვრება. მით უფრო დასაფასებელი გახდა ისეთი პიროვნებები, რომელსაც ეს საგაზეთო წერილი ეძღვნება.

სიმართლე გითხრათ, ათასნაირ ცხოვრებისეულ სირთულეებს გამოვლილს, მაკვირვებს ამ ახალგაზრდა კაცის შემართება, ჟინი, რომლითაც ისაა შეჭიდებული საქმეს და რამდენ საქმეს: არის კარგი მეოჯახე მამა, 30-მდე წლის კაცს უკვე სამი შვილი ჰყავს (ვაჟები სამივე: დანიელი, საბა და დემნა), როგორც ელექტროინჟინერი და ამ საქმის პროფესიონალი მუშაობს ჩინელ გვირაბგამყვანებთან ხარაგაულში, გვირაბებში განათების მოწყობას ხელმძღვანელობს, არის კარგი მეურნე, უყვარს ვაზი და თვალისჩინივით უვლის საკარმიდამოში გაშენებულ ზვარს...

დიდი დავითის მოსახელეთ უფრო კალამი უჭრით, დათო კი, როგორც ზემოთ ვთქვით, კარგი მოსაუბრეა. ფართო გონებრივი ჰორიზონტის გამო ნებისმიერ თემაზე შეიძლება მასთან სჯა-ბაასი, თანაც ისე საფუძვლიანად, კითხვას რომ არ დაგიტოვებთ. ვსაუბრობთ ხოლმე, როცა ამის საშულება მოგვეცემა.

რაზეა დღეს საუბარი ორი-სამი კაცი რომ დაიყრის თავს? რა თქმა უნდა ძირითადად პოლიტიკაზე და შემდეგ სოფლის სატკივარზე. ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. დავითის აზრით არაა კარგი ყველა რომ გაპოლიტიკოსდა და პოლიტიკაზე საუბრობს, როგორც ჩანს ეს განვითარებადი ქვეყნის სენია, თორემ ცივილურ ქვეყანაში რაში ახსოვს პოლიტიკა ხალხს. მეორეც, აგერ უკვე სამი ათეული წელია, რაც ახალი, თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა დავიწყეთ და ჯერჯერობით ვერც ქვეყანა გავამთლიანეთ და საჭირო დონეზე ვერც ეკონომიკა განვავითარეთ. საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე აქ ორი ზესახელმწიფოს (და არა მარტო) რუსეთისა და ამერიკის ინტერესები გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რაც ჩვენს წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. ყველაზე კარგი პოლიტიკა, ამბობს დავითი, ახლა ისაა, რომ მეც, შენც, ყველამ მკლავები დავიკაპიწოთ და ვიშრომოთ ისე, რომ ქვეყანა ეკონომიკურად აღორძინდეს, განვითარდეს. შემოტანილზე კი არ ვიყოთ მუდამ, ჩვენი, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას მივაღწიოთ და მეტი გავიტანოთ, ვიდრე შემოგვაქვს. როცა ქვეყანა განვითარდება, მაშინ გამთლიანებაც ადვილი იქნება. აფხაზიც და ოსიც, რომლებიც ახლა ეჭვის თვალით გვიყურებენ თავისთავად მოვლენ ჩვენთან. აი, ხომ მოდიან სამკურნალოდ შიგ და შიგ აფხაზეთიდან, ეს იმიტომ, რომ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა სხვაზე უკეთესია, ხელმისაწვდომიცაა და ხარისხიანიც.

მეორე და მთავარი ისაა, რომ სოფელს უნდა ეშველოს. იმაზე ბევრად მეტი ასიგნებანი უნდა ჩაიდოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ვიდრე იდება. კარგია ის, რომ სოფლად გზები კეთდება, წყალმომარაგება უმჯობესდება, სკოლები და ბაგა-ბაღები შენდება... უკეთესი იქნება, როცა სუბსიდირებით, უპროცენტო სესხებით სოფლის ხვავი და ბარაქაც იმატებს და მეტი შემოსავალი გაუჩნდება მიწის მეთარგე კაცს, როცა აქედან სხვა ქვეყანაში წასვლაზე კი არ იფიქრებს, არამედ იმაზე, რომ აქ დარჩეს და აქ მოიპოვოს სარჩო-საბადებელი.

დახმარებები მეურნე კაცს დღესდღეობით იმიტომ სჭირდება უფრო მეტი, რომ კლიმატის გაუარესებამ ერთი-ორად გაუძნელა შრომა. პირადი მაგალითიდან გეტყვით,—ადრე გაცილებით ნაკლები ჯაფა მჭირდებოდა და დანახარჯები, ვიდრე ახლა. ვაზი მაქვს არაჩვეულებრივი, სულ ციცქა, თუ ადრე 4-5 ჯერ სჭირდებოდა შეწამლა, ახლა 8-ჯერ არ ჰყოფნის, მერედა გაძვირდა ძალიან შხამ-ქიმიკატები. უფრო უარესი—ყიდულობ წამალს და არ იცი დარწმუნებით ვარგისია თუ არა. კონტროლის გამკაცრებაა საჭირო სავაჭრო ქსელში გამოტანილ პრეპარატების ხარისხზე. პროდუქციის რეალიზაციის პრობლემაც აქვს გლეხს. პირადად იმაზე ბევრად მეტ ყურძენს ვიწევ, ვიდრე ოჯახისთვისაა საჭირო, ადრე რიგი იყო ჩემ ჭიშკართან, ყურძნის იმდენი მყიდველი მოდიოდა, ახლა აღარავინაა, ან თუ მოვიდა ისეთ ფასს შემოგთავაზებს, გაყიდვას დაწურო ის გირჩევნია, მაგრამ ღვინოსაც ხომ უნდა გასაღება. ამ დაწყევლილმა კორონავირუსმაც ყველაზე მეტად მეურნე კაცს გაუძნელა საქმე.

გზადაგზა ალბათ ყველა სიძნელე დაიძლევა, ქვეყანა ღმერთის და კაცის შეწევნით აღორძინდება. ოპტიმისტი ვარ და ამის რომ არ მჯეროდეს არც ოჯახს შევქმნიდი და მითუმეტეს, არც მრავალშვილიანი მამა გავხდებოდი. ისე კი, სიმართლე გითხრათ ნამდვილად არაა იოლი, ამ შეჭირვებულ დროში, ხუთსულიანი ოჯახის გაძღოლა და ალბათ მეც გამიჭიდებოდა რომ მე და ჩემს მეუღლე თამთა მექოშვილს, მხარში არ გვედგნენ: დედა ირინა ქოჩიაშვილი, რაიონში ცნობილი მკურნალი, სიშორის მიუხედავად შეძლებისდაგვარად მეხმარებიან მოყვრები. კუთხე-მეზობელზე აღარაფერს ვამბობ—„კაცი კაცითა, ღობე-ქაცვითაო“ ხომ გაგიგონიათ...

მე ჩინელებთან მიწევს მუშაობა, ასე რომ სამსახურში შრომის ჩინურ რეჟიმში ვარ. ესაა უმაღლესი დისციპლინა, ფუტკარივით შეუსვენებელი შრომა, მომთხოვნიელობა და პასუხისმგებლობა. ამის მნახველს აღარ გაგიკვირდებათ ის სასწაულები, რასაც ეს უზარმაზარი ზესახელმწიფო აღწევს ცხოვრების ყველა მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მხოლოდ ასეთი შრომით და შრომის ორგანიზაციით გავიმართებით წელში ქართველები, გვეშველება ჩვენც და ქვეყანასაც.

ი. ერაძე

ინფრასტრუქტურული პროექტები
სიქთარვა

მოსახლეობის კრება, რომელიც სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევას მიეძღვნა, ღია ცის ქვეშ ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მაგრამ მერის პირველმა მოადგილემ, მანუჩარ რობაქიძემ, მაინც მოგვიწოდა, პირბადეები გამოგვეყენებინა. მერის წარმომადგენელმა სოფელში გიზო ხანიაშვილმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა კოტე ამაშუკელმა კომისიას და მოსახლეობას გააცნო ის პროექტები, რომლებიც უბნების მიხედვით ხალხმა წამოაყენა.

გაკეთებულიც ბევრია და გასაკეთებელი კიდევ მეტი. სიქთარვაში 20 ათასი, ხოლო ჩხარიეწერში 16 ათასი ლარია გამოყოფილი. აქ არ ყოფილა დავა და კამათი, რომელიც ხშირად მოსდევს ასეთი საკითხების განხილვას. სიქთარვაშიც და ჩხარიეწერშიც გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი გარე განათების ნათურების შეცვლა-განახლებას და ზოგან ახლის მოწყობას მოხმარდება. ეს ღონისძიება რამდენიმე უბანში განხორციელდება. ამასთან, ჩხარიეწერში მოეწყობა სანიაღვრე არხები, ბოგირი, სტადიონი. შესაძლებელია ზოგიერთი ცვლილებაც იმის მიხედვით, რას რა თანხა დაჭირდება, ესეც მოსახლეობასთან შეთანხმებით მოხდება.

* * *

შემოდგომის მიწურულს და ზამთრის დღეებში, წყლის მიწოდება ან წყდებოდა, ან შეზღუდვით მოგვეწოდებოდა. თითოეულმა ჩვენგანმა მოიკითხა მიზეზი და უკმაყოფილო ხმებიც ისმოდა. ტელეფონის ზარი არ წყდებოდა ამ საქმის „გამგებელთან“ დათო ქოჩიაშვილთან. რამდენიმე კვირაა „დაისვენა“ დათოს ტელეფონმა. მუნიციპალიტეტის მერიამ 7000 ლარად ღირებული, ახალი, უფრო მაღალი წარმადობის წყალსაქაჩი ძრავი შეიძინა სოფლისთვის. ჯერჯერობით არც წყლის, არც ქუჩის განათების საფასურს ვიხდით, რისთვისაც ბევრმა კმაყოფილება გამოთქვა, ზოგმა „თავი შეიკავა“, არც ცუდი თქვა, არც კარგი გაიმეტა.

ჟუჟუნა ცხადაძე

გზების კეთილმოწყობისა და გარე განათების პრობლემა აღარ იქნება

ალისუბანი ერთ-ერთი დიდი სოფელია მუნიციპალიტეტში, როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობით. იგი თავის მხრივ აერთიანებს ქვედა და ზედა ალისუბანს, მაჩიტაურს, თხილთაწყაროს. ბოლო წლებში, თითოეულ მათგანში, სოფლის დახმარების პროგრამით ბევრი რამ გაკეთდა. წელს ამ მიზნით 68000 ლარია გამოყოფილი.

18 თებერვალს, მერიის ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობით, ძირითადი სოფლების ქვედა და ზედა ალისუბნის ცენტრებში შედგა მოსახლეობის წარმომადგენელთა შეკრება, სადაც დეტალურად იქნა განხილული თუ რას მინიჭებოდა პრიორიტეტი და რა გაეკეთებინათ შესაბამის უბნებში მოცემული თანხით. კრება შეჯერდა შემდეგზე: ქვედა ალისუბნიდან სკანდის მიმართულებით, ჩიხორის გადასახვევამდე მოეწყობა გარე განათება; ქველიძეების, ბოჭორიშვილების და აბისინიას უბნებში გაკეთდება წყლის ჭები; ზარნაძეების უბანში კეთილმოეწყობა არსებული წყარო, ბეღელაძეების უბანში გზაზე ჩაიდგმება ცხაურები; თხილთაწყაროში გაკეთდება მგზავრთა მოსაცდელი; გარე განათება მოეწყობა ასევე სოფ. ქვედა ალისუბნის ცენტრიდან სოფ. ჩხარის საზღვრამდე და სოფელ ზედა ალისუბნის ცენტრიდან ამ სოფლის ბუცხრიკიძეების უბნამდე.

ამასთან, შედგენილია პროექტი (ხარჯთაღრიცხვა მილიონს აღემატება) და ინფრასტრუქტურული განვითარების პროგრამით ახლო მომავალში დაიგება ბეტონის გზები სოფელ ქვედა ალისუბნის ცენტრიდან ზედა ალისუბნის ბერუაშვილების უბნამდე, მეორე—ასევე ცენტრიდან მაჩიტაურის უბნამდე. ამით სოფლებში გზისა და გარეგანათების პრობლემა ძირითადში ამოიწურება.

წყალი აუცილებელია, მაგრამ გზაც საჭიროა

ენა როგორ მოგიბრუნდება კაცს აუგის სათქმელად, როცა მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის მუნიციპალიტეტში იმდენი რამ კეთდება და გაკეთდა ისტორიას რომ არ ახსოვს. სამწუხაროდ, კიდევ დარჩა ქალაქის ზოგიერთი უბანი, სადაც მილგაყვანილობები, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად გაცვეთილია. აქედან ერთი მთავარი მონაკვეთია „საპოვნელა“ – დოლაკიძეების (ჰუშკინის ქუჩა), მაცაბერიძეების უბანი, სიგრძით 4 კილომეტრი. წყლის გამტარი მილები აქ ისეთ მდგომარეობაშია, თვე არ გავა თავსატეხი არ გაუჩინოს, როგორც წყალთა მეურნეობის მუშაკებს, ისე გზებზე ფეხით თუ ავტომობილით მოსიარულე მგზავრებს. აღარაფერს ვამბობთ უბნების მაცხოვრებლებზე, რომლებიც დაზიანებული გაყვანილობის შეკეთების პერიოდში წყლის გარეშე არიან დარჩენილნი.

სამიოდე კვირის წინ, რობაქიძისა და ბარათაშვილის ქუჩების დასაწყისში, ამოხეთქა წყალმა. ავარიის ადგილზე დაუყოვნებლივ მოვიდნენ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თერჯოლის ფილიალის მუშაკები, ფილიალის მენეჯერის ელისო ქოჩიაშვილის ხელმძღვანელობით. მიუხედავად იმისა, რომ ფილიალის ზეინკალ-შემკეთებლები გაწაფულნი არიან ამ მოძველებული წყალგაყვანილობის დაზიანებათა აღმოფხვრაში, კონკრეტულ შემთხვევაში მთელი 3-4 დღე დასჭირდათ საქმის მოსაგვარებლად. არაა იოლი 1,5-2 მეტრის სიღრმეში ეძიო დაზიანება. იუვილერის სიზუსტით უნდა იმუშავო, რომ ნიადაგში სხვა კომუნიკაციები არ დააზიანო გაზის, ახალი წყალგაყვანილობის და ა.შ. (ასეთი შემთხვევებიც ყოფილა). როგორც იქნა ავარიული სიტუაცია განიმუხტა, მაგრამ გზა დარჩა სავალალო მდგომარეობაში. ზემოთ აღნიშნული ორივე ქუჩა ფაქტიურად გადაიკეტა რამოდენიმე დღის განმავლობაში. როგორც ჩანს, შესაბამისი კომპანიიდან, გზის დროულად შეკეთების იმედი არ იყო, ამიტომ ქალაქის მესვეურებმა ის მოახერხეს, რომ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დახმარებით, გზის გადათხრილი მონაკვეთი მოხრეშეს, რის შედეგად გზაზე მიმოსვლა აღდგა. მართალია გაჭირვებით, მაგრამ ახლა აქ მანქანებიც გადადიან და ფეხით მოსიარულენიც, მაგრამ გზის შეკეთება კვლავ დგას დღის წესრიგში. თუ რას აპირებს შესაბამისი კომპანია და როდის შეაკეთებს გზას, ამ პრობლემურ საკითხზე, ფილიალის მენეჯერს ელისო ქოჩიაშვილს დავუკავშირდით.

გვესმის ადამიანების გულის წყრომა გზაზე გამოწვეული შეფერხების გამო, გვითხრა მან, თუ ვინმეა შეწუხებული ვითარებით, უპირველესად ჩვენი სამსახურის მუშაკები, რომლებსაც დარსა თუ ავდარში უხდებათ წყალგაყვანილობაზე დაზიანების შეკეთება. კომპანია იღებს პასუხისმგებლობას როგორც დაზიანების აღმოფხვრის, ისე გზის სრულ წესრიგში მოსაყვანად.

პრობლემა მთლიანობაში კი მაშინ გადაწყდება, როცა აღნიშნული მოძველებული გაყვანილობა შეიცვლება, რაც დროის საკითხია. ჯერჯერობით ის მოვახერხეთ, რომ 1280 გრძივი მეტრი განვაახლეთ.

მარტის თვეში გზა სრულად შეკეთდება და ასფალტით დაიფარება, დასძინა მან.

ი. ერაძე

კოვიდური რეგულაციების დაცვით...

გასული და მიმდინარე სასწავლო წელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა ,კორონა ვირუსის, მზარდი გავრცელების გამო.

გოდოგნის საჯარო სკოლა, როგორც ყველა სასწავლო დაწესებულება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. პირველ რიგში ვცდილობდით ზედმიწევნით დაგვეცვა შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და შრომის პირობების ინსპექტირების რეკომენდაციები.

განათლების სამინისტროს მხარდაჭერით სკოლა უზრუნველყოფილია პირბადეებით, უკონტაქტო თერმომეტრით, ,დეზობარიერით და სადეზინფექციო ხსნარებით,ასევე მაქსიმალურად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ყოველ დილით სკოლაში გაკვეთილების დაწყებამდე მიმდინარეობს მოსწავლეთა თერმოსკრინინგი ,მოწყობილია საიზოლაციო ოთახი და მოსაცდელი ოთახი. სკოლა ერთცვლიანია დიდ შესვენებაზე და სასწავლო დღის დასრულების შემდგომ ხდება საკლასო ოთახებისა და საერთო სივრცის სველი წესით დალაგება-განიავება.

სკოლას ემსახურება ტრანსპორტი სამი მიმართულებით.მოსწავლეებს თერმოსკრინინგი უტარდებათ ტრანსპორტში ასვლამდე, სავალდებულოა პირბადის ტარება. მიმდინარე სასწავლო წელს დასრულდა სკოლის პირველ სართულზე განთავსებული კეთილმოწყობილი სველი წერტილები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და დაცულია ყველა რეკომენდაცია.

სკოლას შეძენილი აქვს წყლის დისპენსერები, რომლებიც განთავსებულია სკოლის ორივე სართულზე და სამასწავლებლოში.მომარაგებული გვაქვს ასევე ერთჯერადი ჭიქები, თუმცა მოსწავლეებს მიეცათ რეკომენდაცია წყლის ბოთლის და საკვების კონტეინერის სკოლაში ტარების შესახებ.

საკლასო ოთახების ფართი გვაძლევს იმის საშუალებას რომ მოსწავლეები გაკვეთილზე დისტანციის სრული დაცვით ისხდენ. დერეფნებში, კლასებში ,განთავსებულია GOVID-19 -თან დაკავშირებით ფოტომასალა და რეკომენდაციები. სკოლის ყველა თანამშრომელი მზაობას იჩენს რეკომენდაციების დაცვის მიზნით, ყოველ ორკვირაში გავდივართ კოვიდ -19 ტესტირებას, ჩვენ მოსწავლეების, მშობლების ინტერესებიდან გამოვდივართ და გვინდა მაქსიმალურად შევინარჩუნოთ საკლასო ოთახებში სწავლა. ჯანმრთელობას მშვიდობას და წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ.

ნანა ბეღელაძე- ამბროლაძე
სსიპ გოდოგნის საჯარო სკოლა

ექიმი გალურჯებამდე მინდა!

„თუ თქვენი ჯანმრთელობა სწრაფად ან საგრძნობლად გაუარესდა, დაკარგეთ ყნოსვა, გემო, გაქვთ მაღალი ტემპერატურა, სისუსტე, უჩივით უმადობას, ტკივილს გულმკერდის არეში, გილურჯდებათ ტუჩები“ დარეკეთ 112-ში-ო, იყო ასეთი მოწოდებები.

ათეულობით ათასი ავადმყოფის, თან ისეთის, რომელიც ვირუსს გადაგდებს, როცა ექიმები, ექთნები, მედდები და სხვა პერსონალის დიდი ნაწილი დაავადებულია, ჯანმრთელები კი დაღლილები არიან, არ არის ადვილი. არ ვიცი, რამდენჯერ გაუმჯობესდა, ან გაუმჯობესდა და თუ არა სამედიცინო დარგის მუშაკთა შრომითი ანაზღაურება, ან პენსიაზე მყოფი, სახლში წასული ექიმები ჩაერთვნენ თუ არა ავადმყოფთა მკურნალობაში, მაგრამ ფაქტია—შრომატევადი და საფრთხის შემცველი სამუშაოს წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება არავის აქვს, თანდათან ვსწავლობთ კოვიდის „ქცევას“, იმასაც რა წამალი უფრო ეფექტურია, ექიმებმა კი არა, ჩვენც, სახლში რომ ვმკურნალობთ, კონსულტაციის პირობებში, ვიცით რაღაც. ამიტომ განცხადება, 29 წლის პაციენტი გარდაიცვალა, ოჯახის ექიმი მკურნალობდაო, არ არის მართებული ნათქვამი. ვითომ სტაციონარში არავინ გარდაცვლილა, ან ვინც მიმართა 112-ს ყველა მოხვდა სტაციონარში?! ვერ მოხვდებოდა და ასე ვინმეს „დადანაშაულება“, თან უმისამართოდ, სწორი არ არის.

ისე, სანამ არ გალურჯდება კაცი, მანამდე უნდა მიხედვა.

მადლობაც და საყვედურიც

ერთგან, პირბადეებით და დისტანციურად მდგომი რამდენიმე კაცი, ცოტა ხმამაღლა ესაუბრებოდა ერთმანეთს, ისე, რომ გამვლელ-გამომვლელებსაც ესმოდათ. ბოლოს ერთმა კითხვა დასვა—მთავრობის სუბსიდირების შესაბამისი დენი და გაზი არც ერთ თვეში არ გამიხარჯავს, მომდევნო თვეებში გამოვიყენებო? მეც იმაზე ნაკლები გავხარჯე, რაც გათვალისწინებული იყოო—თქვა მეორემ. არავისათვის მიმართული, ზოგადად დასმული კითხვა უპასუხოდ დარჩა, მაგრამ ნათქვამმა, „დანაზოგის“ მომავალ თვეებში გამოყენების თაობაზე, ბევრი დააფიქრა. ამ თემაზე საუბარი აქა-იქ კვლავ მოვისმინე. აზრი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს—ხალხი კმაყოფილია სუბსიდირების გამო, ამ მადლობას საყვედურიც, უფრო სწორად სურვილიც ახლავს—გაუხარჯავი კილოვატების და მეტრკუბების სხვა თვეებში გამოყენების თაობაზე. არ გჭირდებოდა და არ გახარჯე, ან გჭირდებოდა და ეკონომია გასწიე, როგორც მაშინ, ჩვეულებრივი გადამხდელი რომ იყავი, ეს სწორი საქციელია, სახელმწიფოებრივი აზროვნებაა, მაგრამ ისე კარგი კი იქნებოდა მომავალ თვეებში მისი გამოყენება.

ჟუჟუნა ცხადაძე

კროსვორდი ეძღვნება ქალებს
სამშობლო მადლიერია მათი



1. ქვეყანა, სადაც დაიბადა ადამიანი. 2. დრამატული თეატრის მსახიობი. 3. ოპერის მომღერალი ქალი. 4. მხატვარი ქალი. 5. მშვილდოსანი ქალი სპორტსმენი. 6. ესტრადის მომღერალი ქალი. 7. პოეტი ქალი. 8. ჩვენი ქვეყანა. 9. მამული. 10. მსახიობი მედეა... 11. მოჭადრაკე ქალი, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი. 12. ცნობილი მოჭადრაკე ქალი. 13. მომღერალი დები. 14. მაია... 15. დავით აღმაშენებლის მეუღლე. 16. ბალეტის სახელმოხვეჭილი მოცეკვავე. 17. მეფე-ქალი. 18. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 19. მოჭადრაკე, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი. 20. ქეთევან... 21. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მაჯვენის“ ერთ-ერთი პერსონაჟი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული აკროსტიქის პასუხები: 1. იოსელიანი 2. თავარიანი 3. ალიოხინი 4. მორფი 5. ალექსანდრია 6. შამათი 7. ენდშპილი 8. თერჯოლა 9. ემზარ ჭუმბურიძე 10. არახამია 11. დებიუტი 12. რუბინშტეინი 13. აზმაიფარაშვილი 14. კარპოვი 15. იაშვილი პაოლო.

ალექსანდრე (საშა) ღიბრაძე—90

ცხოვრება ჭრელია. ზოგჯერ უსამართლო და უმადური. პარადოქსებით სავსე. ძნელია ავხსნათ, რომ დაუღლელი და მებრძოლი სულის კაცი, სულ რაღაც ექვსი ათეული წლისა—მარადიული საუფლოს ბინადარი გახდა.

დანანებით ვწერთ კაცზე, რომელიც ათეულწლობით რაიონის ცხოვრების შუაგულში იყო და ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

თხუთმეტ თებერვალს ბატონ საშას 90 წელი შეუსრულდებოდა.

გვტკივა, რომ საიუბილეო თარიღი მის გარეშე აღვნიშნეთ.

ჰო, ხდება, რა თქმა უნდა...

არადა, არაჩვეულებრივად შრომისმოყვარესა და მიზანსწრაფულს სურდა კიდევ ბევრი რამ მოესწრო, შეექმნა. ვერ იტანდა სიყალბეს. სიმართლე იყო მისი მთავარი საზომ-საწონი. „დიქტატურის პირობებში სიმართლე დუმს“—ამ თეზას პრინციპულად არ სცნობდა. არ შეეძლო დუმილი, როცა ცინიზმი აღზევებას იწყებდა. მკაცრად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი. შეუპოვრად ეზიდებოდა ცხოვრების ჭაპანს. სხვებსაც იგივეს მოუწოდებდა.

რაიონის მმართველ სტრუქტურებში, პირველ პოსტებზე მუშაობისას, ნიჭიერმა ორგანიზატორმა სრულად გამოავლინა დიდი შესაძლებლობები, როგორც მოაზროვნემ და შემოქმედმა.

ალექსანდრე ღიბრაძე რაიონის აღმშენებლობის ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტორი და ორგანიზატორი იყო.

წარმოსადეგი აღნაგობისა და იერსახოვანი, ინტელიგენტი, როდი გაიძულებდათ ინტერვალი დაგეცვათ მასთან სიახლოვისას, ეს ისე, თავისთავად ხდებოდა.

ღრმად ერუდირებული, ისტორიკოსი და იურისტი, მჭერმეტყველი, სრულად ფლობდა ორატორულ ხელოვნებას, მისი გამოსვლები ფართო აუდიტორიების წინაშე იყო მუდამ ლოგიკით ნასაზრდოები.

ბრწყინვალე მომლხენს შვენოდა სუფრის თამადობა, ღვინოსთან ჯიუტად გაჯიბრებას არასდროს ცდილობდა. მახვილსიტყვაობა და შინაარსიანი სადღეგრძელოები შესაძლებელს უხდიდა ლხინი ძველქართული ტრადიციების ყველაზე საუკეთესო სახით წარმოეჩინა.

უყვარდა „ქმნა მართლისა“;
საქმეში ბოლომდე იხარჯებოდა;
რა თქმა უნდა, იყო წინააღმდეგობებიც (ცხოვრების ჩვეულებრივი მახასიათებელი ნიშანი), მაგრამ შეეძლო წარმატებული ბრძოლა, რამეთუ მორალი მის მხარეს იყო (უძველესი დროიდან დღემდე ხომ მორალურის ძალადობით დამთრგუნველი ძალა ბუნებაში არ არსებობს!)

რაიონის საღად მოაზროვნე მოსახლეობისა და ყოფილი მოსწავლეებისათვის (ბატონი საშა თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ქ. თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი გახლდათ) კაცობის ეტალონად დარჩა.

ალექსანდრე ღიბრაძემ პატიოსნების პრინციპებით იცხოვრა.

ალექსანდრე ღიბრაძის ოჯახი პატიოსნების პრინციპებით ცხოვრობს,

ალექსანდრე ღიბრაძის ოჯახში კეთილი ნერგი ხარობს.

* * *

ამ მოკრძალებულ სტრიქონებს მოგონებას, მითუმეტეს ხსოვნას არ ვარქმევთ. ძველ ეგვიპტური მითოლოგიიდან მოხმობილ ერთსიტყვიანი ეპილოგით დავასრულებთ მხოლოდ—„ის მაღალია“...

ოჯახი, ახლობლები, სამეგობრო

ბოლშევიკურ სიცრუეში ჩაკარგული რეალობა. იუნკერები

9 ☜

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის 100 წლისთავის გამო

ბოლო წლებში ქართული საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტ ინფორმაციებს იღებს 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის და ქართველ ჯარისკაცთა თუ მეთაურთა მამაცობის შესახებ. ამ ომის ისტორიაში საკუთარი დიდების ღირსეული ფურცელი ჩაწერეს ქართული სამხედრო სკოლის იუნკერებმა, რომლებიც თბილისის მისადგომებთან იბრძოდნენ.

აი, როგორ იგონებდა იმ ბრძოლების ამბებს იუნკერი, შემდგომში კი საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი ნიკოლოზ თოხაძე: „ 24 თებერვალს, მტერმა დილიდანვე გახსნა არტილერიის გახშირებული ცეცხლი. მათი ჭურვები მეორე და მესამე სანგრების აღმოსავლეთით სკდებოდა. ამ სანგრებს სკოლის ახლად გაწვეული ჯარისკაცების ორი გუნდი იცავდა, მაგრამ წინა დღეების ბრძოლების დამსწრე და უკვე ნაცადი ჯარისკაცები შეუდრეკლად იდგნენ თავიანთ ადგილზე. გათენებიდან დაღამებამდე სროლა და არტილერიის გრიალი არ შეწყვეტილა, იერიშები და კონტრიერიშები რამდენჯერმე განმეორდა. რუსის ჯარის ნაწილები დაჟინებით ცდილობდნენ ტაბახმელას ხელში ჩაგდებას და ტფილისისაკენ გზის გაკაფვას. ხან ერთ სანგარს, ხან მეორეს გაშმაგებით შემოუტიეს, მაგრამ მოგერიებული იქნენ. საღამო ხანს მტერმა ახალი ძალებით მძლავრი იერიში მიიტანა მეოთხე სანგარზე, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში პირველი ათასეულის ნაწილები იცავდნენ. აქ მტერმა შეძლო ხიშტებით სანგრის აღება, შიგ ჩაიმალა, განაგრძო აღმოსავლეთისაკენ წინსვლა და თავი ამოყო სანგრიდან იმ გორაკის წინ, სადაც გოგი მესხიშვილის ორი სამთო ზარბაზანი იდგა. მტერი გაეშურა ხიშტებით მათ ასაღებად. გოგი მესხიშვილმა სწრაფად შემოიკრიბა მის გარშემო ზარბაზნების მსახური ჯარისკაცები, იძრო ხმალი და მედგრად შეუტია შემოსეულ მტერს, ჩეხავდა მარჯვნივ და მარცხვნივ. ჩვენი პოზიციიდან უმწეოდ შევყურებდით ამ გულშემზარავ სურათს, მიშველება შეუძლებელი იყო ჩვენი ზარბაზნებით ასეთ ხელჩართულ ბრძოლაში. უცებ ვაშას ყიჟინამ მოაღწია ჩვენამდე, ეს იყვნენ უკანასკნელ მაშველად ტაბახმელას ბაღებში შეფარებული იუნკერთა მწყობრები, რომლებიც ეკვეთნენ რუსებს სწორედ იმ წამში“. ამ ბრძოლის მეორე თვითმხილველი, **პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე** წერდა: „როდესაც კურსანტები შეეტაკნენ ბატარეაზე ლეიტენანტ მესხიშვილს, მის ზურგთან უკვე გრიალებდა ძლიერი „ვაშა“ იუნკრებისა, რომელნიც მიჰყავდათ მამაც ოფიცრებს, შავდიას, ხოშტარიას და ჩოჩუას. ყველაფერი აირია ... სროლა, ხიშტები, კონდახები, რევოლვერები, ხმლები ... აკეთებდნენ თავის საქმეს. კურსანტები მედგრად შემოხვდნენ იუნკრების დაკვრას, მაგრამ მათი ხუთწვერა ვარსკვლავის ბრწყინვალება დაჩრდილა თეთრი გიორგის ელვარებამ და ჩააქრო. ისინი გაიქცნენ უკან მე-4 სანგრის მიმართულებით. ამ დროს გორაკზე სანგრებთან გამოჩნდა კურსანტების ტყვიამფრქვევი. უკან გაქცეული მტერი ტყვიამფრქვევით შუა გაყოფილი გაიფანტა მარჯვნივ და მარცხნივ და გზა მისცა თავისი იარაღის ძლიერ ცეცხლს. მტრის ტყვიამფრქვევმა დაუშინა იუნკრებს ღია მინდორზე 100-120 ნაბიჯის მანძილიდან. ასეთ სასწრაფო და საბედისწერო წუთებში არჩევანი აღარ იყო! რჩებოდა მხოლოდ ერთი - უნდა აეღოთ ის! მესამე მწყობრი, კაპიტან ჩოჩუას მეთაურობით ტყვიამფრქვევისაკენ გაექანა. ჯერ არ მიახლოვებოდნენ, რომ კაპიტანი ჩოჩუა დაეცა დაჭრილი, მაგრამ იუნკრები ასკდებოდნენ წინ. ამბობენ, რომ პირველი წინ მირბოდა ფეხბურთში განთქმული, მუხლსწრაფი შალვა ერისთავი. მივარდნენ და აიღეს ტყვიამფრქვევი. მემიზნე ოფიცერი მოკლულ იქნა ერისთავის ხიშტით, რომელც აგრეთვე თვითონ დაეცა ზედ მტრის ტყვიით განგმირული. სანგრები ისევ ჩვენებმა დაიკავეს. რუსებისა და ქართველი მომავალი ოფიცრების სამკვდრო-სასიცოცხლო შეხვედრა პირველთათვის საუბედუროდ დამთავრდა“.

იერიშები დაღამებამდე გაგრძელდა, მაგრამ ბოლშევიკებმა ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ. დაბნელებისთანავე შეწყვიტეს იერიშები და უკან დაიხიეს.

„ბოლშევიკებმა ყველაფერი გადმოისროლეს ბრძოლაში: გამწარებულად და უშიშრად მოიწევდენ წინ და კვდებოდენ, მაგრამ ყველა მათი მქუხარედ მოვარდნილი ტალღა იმსხვრეოდა ტაბახმელის გმირთა მკერდზე ისე, როგორც ზღვის ტალღები პიტალო კლდეზე. დღე იქცა ისტორიულად, გადამწყვეტ ჭიდილში ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვება იყო სრული“, — წერდა **ალექსანდრე ჩხეიძე** ამ დღეზე.

24 თებერვალს, 20 საათზე, მთავარსარდალმა **გენერალმა კვინიტაძემ** თბილისის დატოვებისა და უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო. მთავარსარდლის ბრძანების მიღების შემდეგ პოლკოვნიკმა ალექსანდრე ჩხეიძემ შეკრიბა სკოლა და გამოიყვანა გზატკეცილზე. გენერალმა ანდრონიკაშვილმა გაატარა თავის წინ რაზმის ყველა ნაწილი და თვითონ წამოვიდა ჯარების უკანასკნელ ჯგუფთან ერთად. 25 თებერვლის დილის 9-10 საათისთვის სამხედრო სკოლამ, გენერალ ანდრონიკაშვილის დაქვემდებარებაში მყოფ სხვა შენაერთებთან ერთად, მცხეთას მიაღწია.

19-24 თებერვლის ბრძოლების დროს დაიღუპა 9 იუნკერი : ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, ილია ჯანდიერი, იოსებ ჯანდიერი. დაიღუპა სამხედრო სკოლის ორი ოფიცერიც: მაიორი არჯევან ანანიაშვილი და ლეიტენანტი ირაკლი თოიძე. დაიჭრა სამხედრო სკოლის 7 ოფიცერი და 43 იუნკერი. დაღუპულ იუნკერთა ნაწილი რუსთაველის გამზირზე არსებული სამხედრო ტაძრის ეზოში დაკძალეს (დღეს ამ ადგილზე საქართველოს პარლამენტის შენობა დგას).

მთავარსარდლის გადაწყვეტილებით თბილისიდან უკანდახეულ ჯარს მცხეთაში ახალი თავდაცვითი ზღუდე უნდა შეექმნა, მტერი მოეგერიებინა და კონტრშეტევაზე გადასულიყო, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

თბილისიდან უკანდახევის შემდეგ იუნკრები ფაქტობრივად მთავარსარდლის მატარებელს და თავად გენერალ კვინიტაძეს დარაჯობდნენ. ბათუმში სამხედრო სკოლა კინოს შენობაში განთავსდნენ. როდესაც 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილი და ქართველ სამხედროთა ერთი ჯგუფი ემიგრაციაში წავიდა, მათ იუნკრებიც თან გაყვნენ.

ემიგრაციაში 70-მდე იუნკერი წავიდა. მათი უმეტესობა პოლონეთის, ნაწილი კი საბერძნეთისა და საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლების მსმენელი გახდა. სამხედრო სასწავლებლების დასრულების შემდეგ ქართველმა იუნკრებმა სამხედრო სამსახური ამ ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში განაგრძეს. პოლონეთის და საფრანგეთის ჯარში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა პირნათლად მოიხადეს თავისი მხედრული ვალი ახალი სამშობლოს წინაშე და თავდადებულად იბრძოლეს მეორე მსოფლიო ომში. მათი ნაწილი ამ ბრძოლისას გმირულად დაიღუპა.





1. იოსებ ჯანდიერი
2. ოთარ ლორთქიფანიძე
3. შალვა ერისთავი
4. მარო მაყაშვილი
5-6. ქართველი იუნკერები, რომლებიც საფრანგეტისა და პოლონეთის ოფიცრები გახდნენ.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872